



ქართული
ლიბრერი

52



საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL
MONUMENTS



ქართული
ენობის
სამეცნიერო
სამუშაოების
სამართალი



ქვემოთ.

Yuryan.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერია: „მატირიალური კულტურის ძეგლები“

ქეკელის ქეტილი ქეტილი

სერიის რედაქტორი — ირაკლი ციციშვილი
რედაქტორი — თენგიზ შერაძე

Редактор серии **Иракий Цицишвили**
Редактор — **Тенгиз Перадзе**

გ ა მ თ ე ბ ი ს ს ა ჯ რ უ კ ა დ ე მ ი ა რ ი მ ს ა წ ე ბ ი ს ე ბ ე ჯ ი

სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი ბოლქვაძე (პ/მკ
შლიანი), ლალო გუდიაშვილი, ოთარ თაქთაქიშვილი, ირაკლი ჭაჭარიაშვილი,
ნიკო კაცხიშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ლევან შატარაძე, ოთარ სანვალაძე,
თენგიზ შერაძე, ზიორაბი ჩიტაია, ვახტანგ ცინცაძე.

მაბერიალური კალბურის ძეგლები ძველი ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიური მასალების მასალების მიხედვით.

ალგეთის ხეობა

1. ქოთიშვი. აწინდელი სოფ. ქოთიშის ადგილ-ს, მალღობზე. ნასოფლარის ნაშთები და ცალწაიანი, უსახო ეკლესიის ნანგრევი. 108
2. ნასოფლარი. სოფ. ქოთიშის ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ. მანძილზე. ძველი „ციკლოპური“ ტიპის შენობათა ნაშთები. მცირე ზომის, ცალწაიანი ეკლესიის ნანგრევები და ქვაფუძეები 109
3. დურნუქი აწინდელი სოფ. დიდი დურნუქის ადგილ-ს. სოფლის ჩრდილო ნაწილში, მალღობზე გვიანფეოდალური ხანის ეკლესიის ნანგრევები. სამხრეთით, ფერდობზე ნასახლართა კვალია. ზედაპირული მასალა ძალიან ბევრია. შავი, ლევა და მოჭიქული კერამიკის ნამტვრევები. 110
4. სანაროვანი. სოფ. დურნუქის ჩრდილოეთით 1,5 კმ. მანძილზე მდ. ალგეთის მარჯვენა ნაპირას მრავალი ქვაყუთია. ნივთების მიხედვით პირველი საუკუნისაა. 111
5. ნასოფლარი. სოფ. დურნუქის ჩრდილო-დასავლეთით 1 კმ. მანძილზე. მცირე ნასოფლარის ნაშთები. ზედაპირული მასალა ობსიდიანის დამუშავებული ნატეხები, შავად მოპრიალებული და ანგობიანი კერამიკა. 112
6. ნასოფლარი. სოფ. შავსაყდარის სამხრეთ დასავლეთით 1 კმ. დაშორებით, მდ. ალგეთის მარჯვენა ნაპირას შენობათა ნაშთებია. სავარაუდოა აქ ძველი სოფელი ჩხიკვი. 113
7. სანაროვანი. სოფ. შავსაყდარის სამხრეთ-დასავლეთით, 2 კმ. მანძილზე. მდ. ალგეთის მარჯვენა ნაპირას, ნასოფლარის მახლობლად ქვაყუთებია, ქრისტიანობის წინაპროის ინვენტარით. 114
8. ეკლესია. სოფ. შავსაყდარის აღმოსავლეთით გორაკზე ძველი, სრულიად დანგრეული ეკლესია აგებული შავი ბაზალტის ლოდებისგან. შესამდლოა IX-X საუკუნეებისა. 115
9. წინწყარო. სოფელში ორი ეკლესიაა. პირველი ნახანის სოფლის შუაგულში, დიდი ზემბათოვანი ეკლესიაა აგებული XIX საუკუნე. ბოლო ათეულ წლებში, მეორე სოფლის სამხრეთ განაპირა უბანშია. იგი ცალწაიანია და საფუძვლიანად გადაყვებული XVII საუკუნეში. მას დასავლეთის მხარეზე ადგას სამრეკლო ექვსკვტიანი ფანჯატურის სახით. 116
10. ეკლესია. სოფ. წინწყაროს დასავლეთით, 2 კმ. დაშორებით. ეს ეკლესია „დედა ლეთისას“ სახელს ატარებს და წარმოადგენს ორეკლესიან ბაზილიკას მინაშენით. მისი კედლები აგებულია ბაზალტის კარგად თლილი კვადრებით. საბჯენი თალები და სარკმელები ნალისებრი მოხაზულობისაა. მორთულობის ელემენტები საკმაოდ მცირეა. საერთო იერით ეკლესია VIII—IX სს. მიეკუთვნება. ეკლესიის ირგვლივ დიდი გალავანია და საკმაოდ ძველი სასაფლაო ქვაყუთებით 117
11. გოლთეთი. სოფლის განაპირას ნასახლართა ნაშთები, ერთ ადგილას რა-

* გაგრძელება იხ. კრებული „ძველის მემკობარი“ 50-51.



მდენიმე ევრტიკალურად დაყენებული ქვაჭვარაა.

12. ნასოფლარი. აწინდელი სოფელი ბოგვი. სოფელში XVII ს. მონასტრის ნაპირას სამართავი ეკლესია და სასაფლაო. სოფლის სამხრეთით, ალგეთის ნაპირას სამართავი. ქვაყუთებში ძვ. წ. I ათასწლეულის შავი კერამიკული ჭურჭელია. სოფელში დაცულია ორი ძველი შენობა დარბაზული დედაბოძებით. 119

13. მანეცხანი. სოფლის აღმოსავლეთით I კმ. დაშორებით ძველი, ძალიან დიდი ნასოფლარი. ნასოფლარის აღმოსავლეთის ნაწილში ბორცვზე დგას ორი ეკლესია. პირველი მათგანი სრულიად მარტივია და უსახო. აგებულია 1902-1905 წწ. მეორე ეკლესია აგრეთვე ცალნაეიანი, აგებულია ბაზალტის თლილი კვადრებით. სავარაუდოა, რომ ეკლესია XIV საუკუნეშია აგებული. ეკლესიის ირგვლივ ბევრია ზედაპირული მასალა ობსიდიანის ნატეხები, სალესი ქვები, ლევა და წითელი კერამიკა. 120

14. ნასოფლარი. ს. მანეცხანის ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ. მანძილზე. სამების მთის ძირას მოზრდილი ნასოფლარის ნაშთები. მრავალი, კვითყირით ნაგები შენობები, სავარაუდოა აქ სოფელი საწურბლე. 121

15. ჩხიკვთა სამება. სოფ. ჩხიკვთას სამხრეთ-დასავლეთით I კმ დაშორებით, სამების მთა მაღალი, ცალკე მდგომი ბორცვია, რომლის მწვერვალზე წაგრძელებული ფორმის პლატოა შექმნილი. მთას სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან შემოვლებული აქვს უზარმაზარი ლოდებით, უსსნაროდ ნაგები გალავანი, გალავნის შიგნით წმ. გიორგის ცალნაეიანი, მცირე ზომის ეკლესია, რომელიც აგებულია აქ არსებული ძველი ეკლესიის ნანგრევებზე. ეკლესია აგებულია XVII-XVIII სს. ეკლესიის აღმოსავლეთით ირკვევა რამდენიმე შენობის კვალი. ეკლესიის წინ აღმართულია სამი XII საუკუნის ვრცელი წარწერის შეიცველი სტელა ხელის გამოსახულებით. 122

16. ეკლესია. სამების მთის აღმოსავლეთით შარა გზაზე ლეთისმშობლის ძლიერ დანგრეული ეკლესია. აგებულია თლილი კვით და თავის დროზე თვალსაჩინო ნაწარმოებს წარმოადგენდა. ამჟამად შეორჩენილია მხოლოდ აღმოსავლეთის კონკი და აედლის ნაწილი. სამხრეთის კედელზე დაცულია ასომთავრული წარწერა. ადგილობრივ მას „მწევანე მონასტერს“ უწოდებენ. 123

17. ჩხიკვთა. სოფელში ამალეებულ ადგილას დგას რიყის ქვით ნაგები ცალნაეიანი ეკლესია. იგი XIX საუკ. აგებული და საგინაშვილების საძვალეს წარმოადგენდა. ეკლესიის ირგვლივ დიდი სასაფლაოა, ძველი საფლავებით და ცხენის ქანდაკებით. 124

18. ეკლესია. სოფ. ჩხიკვთას სამხრეთით 50-ოდე მეტრის დაშორებით გაშლილ ადგილას დგას მოზრდილი ეკლესია, ე. წ. ჩხიკვთის სიონი. იგი აგებულია თლილი კვით და აქვს შვერილი, ნახევარწრიული აფსიდი. ეკლესიაში რამდენიმე მხედრული წარწერაა, რომელთა მიხედვით იგი აგებულია 1679 წელს. 125

19. ხოპისი. აბელიას ჩრდილოეთით I კმ. მანძილზე. სოფელში ბორცვზე ძლიერ დანგრეული მცირე ზომის წმ. გიორგის ეკლესიაა. ეკლესიის ირგვლივ ძველი სასაფლაოა და სტელა რელიეფებით ხელისა და ჭერის გამოსახულებით. 126

20. სადგომი. ხოპისის აღმოსავლეთით I კმ მანძილზე. ალგეთის პირას მთის ფერდობზე ორმო და ნაკრის მძლავრი ფენა. გვხვდება ძველი კერამიკის ნატეხები. 127



21. ეკლესია. სოფ. ჩხიკეთას ჩრდილოეთით 700 მ. მანძილზეა მდებარე. ლნაიანი რიყის ქვით ნაგები. გვიანფეოდალური ხანის ე. წ. გუგუთას ეკლესიის ირგვლივ ქვიტიკირია და ბაზალტის დიდი ლოდებით ნაგები შენობათა ნაშთები. 128
22. ეკლესია. ფარცხისის ჩრდილო-დასავლეთით 1 კმ. მანძილზე ბორცვზე დგას ე. წ. კოკორების ეკლესია. აგებულია ბაზალტის უწესო ფორმის ქვებით და აქვს რიყის ქვით გამოყვანილი თაროები. ეკლესია შიგნით შველსილი და მოხატულია ყოფილა. აღმოსავლეთის ფასადზე ჩატანებულია ორი VI-VII სს. სტელა. თავისი ლავგარდინისა და ნორთულობის ელემენტების მიხედვით ეკლესია X ს. ნაწარმოებად გვევლინება. მაგრამ კამარისა და კონქის ისრული ფორმა მას გაცილებით უფრო გვიან დროს მიაკუთვნებს. შესაძლებელია ექ შეკეთებასთანაც გვეკონფეს საქმე. 129
23. ეკლესია. სოფ. ტბისის აღმოსავლეთით 600-ოდე მეტრის მანძილზე ცალნაიანი, მცირე ზომის ეკლესიის ნანგრევი. 130
24. ტბისი. სოფლის დასავლეთით, განაპირას ნასოფლარის კვალი. აქვე ცალნაიანი, ღვინისფერი ტუფით ნაგები წმ. მარინეს ეკლესია. სამხრეთის კარის ტიმპანში მხედრული წარწერაა XVII საუკუნის. 131
25. ეკლესია. სოფ. ტბისის დასავლეთით ორასიოდე მეტრის მანძილზე ცალნაიანი ეკლესია ნალისებრი ფორმის ახლით. ასეთივე მოხაზულობისაა კონქისა და განმზღვენი თალები. ეკლესია ნაგებია ბაზალტის უწესო ფორმის ქვებით. შიგნით ეკლესია მოხატული ყოფილა შესანიშნავი ფრესკებით. ყველა ნიშნის მიხედვით ეკლესია VIII-IX საუკუნეების ნაწარმოებს წარმოადგენს. ეკლესიის მახლობლად დგას ცხერის ქანდაკება გუმბათიანი ეკლესიის მოდელით ზურგზე. 132
26. სასახლე. სოფ. ტბისის ჩრდილო დასავლეთით 2 კმ. მანძილზე, მდ. ალგეთის მარცხენა ნაპირას ტყით დაფარულ მთის სამხრეთ კალთაზე განლაგებულია ადგილობრივი ფეოდალის გამაგრებული სასახლის ნაგებობანი. ქვემო ტერასაზე დგას სამართლიანი კოშკი და მასთან საცხოვრებელი ნაგებობა. საგუმავო, ზემო პალატი და სხვა საცხოვრებელ შენობათა ნაშთები, აგრეთვე გალავნით შემოფარგლული, ნიზრდილი ეკლესია. ეკლესია აგებულია ალგეთის თეთრი თლილი კვანძებით და ნდიდრულადაა მოჩუქურთმებული. როგორც დასავლეთის კარის ტიმპანში მოთავსებული მხედრული წარწერა მოგვითხრობს, ეკლესია და სხვა ნაგებობანი აგებულია 1683 წელს პაპუნა ბარათაშვილის მიერ. ეკლესია სამალავი — გვირაბის საშუალებით უკავშირდება მეორე, გარე გალავანს, რომლის აღმოსავლეთის ნაწილში მოთავსებულია ორსართულიანი შენობა. პირველ სართულში მცირე ეკლესიაა, ხოლო მეორეში კი სამრევლო. ეს ნაგებობანი, როგორც ჩანს ეკლესიაზე ადრეა აგებული. თვით ეკლესიაც აშენებულია ძველი ეკლესიის ადგილას. 133
27. ბირთვისის ციხე. სოფ. ტბისის ჩრდილოეთით 2 კმ. მანძილზე. ეს ცნობილი ციხე ადებარეობს ბუნებრივად მიუდგომელ ადგილას, მაღალ ვერტიკალურ კლდეზე. კლდის ფერღობზე ამოკეთილია საფეხურები და მათ ზემოთ შესასვლელი კედლითაა გადაკეტილი. აღმოსავლეთის მხრიდან ციხე გამაგრებულია ფლეთილი ქვით ნაგები გალავნით, ნახევარწრიული მოხაზულობის ბურჯებით. კლდის ყველაზე ამაღლებულ ადგილას დგას ორსართულიანი



- კოშკი. ეს ციხე გვიანფეოდალურ ხანაში უნდა იყოს აშენებული. მამულაძე 134
- რე ბორცვზე, დაახლოებით 500 მ. დაშორებით მეორე ციხეა, რომელიც პირველთან ერთად ერთ საბრძოლო კომპლექსს შეადგენს. ადგილობრივ მთ ბირთვისებს უწოდებენ. 134
28. ეკლესია. სოფ. ფარცხისის ჩრდილოეთით 1,5 კმ. მანძილზე მცირე ზომის, ცალნავიანი ეკლესიის ნანგრევი. 135
29. ფარცხისი. აწინდელი სოფლის ჩრდილო ნაწილში შემალღებულ ადგილას შემონახულია ოდესღაც დიდი და ძლიერი ციხის ნანგრევი. ციხის კედლები ფლეთილი და რიყის ქვითაა ნაგები, ხოლო შეკეთების ადგილებში ნახვარია ავსტრიც. ციხე შედგება გალავნის კედლის ორი ზოლისაგან და ოთხკუთხა კოშკები ახლავს, როგორც ეს სჩვენია VIII-IX საუკუნეთა საბრძოლო ნაგებობებს, მაგრამ ძირითადად როგორც ჩანს XVI საუკუნეშია განახლებული. ბორცვის ფერდობზე დგას სამი მცირე სამლოცველოს ნანგრევი. 136
30. ენეოლითური სადგომი. სოფ. ფარცხისის სამხრეთ-დასავლეთით 1 კმ. მანძილზე. შარა გზის პირას, ფორქალისებად წოდებულ ადგილას. თიხის ფენაში ჩანს სამარხები, უძველესი კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები, ობსიდიანის იარაღი და ანატექციები. 137
31. სასახლე. სოფ. ფარცხისის დასავლეთით 500 მეტრის მანძილზე, მდ. ალგეთის მარჯვენა ნაპირას. კომპლექსის ცენტრშია რიყის ქვით ნაგები ორსართულიანი საეპოგრებელი შენობა საბრძოლო კოშკებით. მის სამხრეთით შეინჩნევა სრულიად დანგრეული სამეურნეო ნაგებობანი. სასახლის ტერიტორიაზე ორი ეკლესიაა. პირველი მათგანი მცირე ზომისაა და ცალნავიანი, აგებულია ოდნავ დამუშავებული ბაზალტის ქვით. მისი დამახასიათებელი არქიტექტურული ფორმების მიხედვით, იგი XVII საუკუნის მეორე ნახევარშია აგებული. მეორე ეკლესია სრულიად უსახოა. აღსანიშნავია აქ რელიეფური წერების გამოსახულებანი. უეჭველია, რომ იგი პირველზე ადრინდელი უნდა იყოს. ნასახლევი ბარათაშვილების ერთ-ერთ შტოს — გოშტაბაშვილებს ეკუთვნოდა. თვით ადგილს კი ფორქალისები ეწოდება. 138
32. ვაკე. აწინდელ სოფელში ჩრდილო-დასავლეთის ნაპირას დგას ცალნავიანი, დარბაზული ტიპის ეკლესია. მისი კედლები შემოილია შესანიშნავად თლილი, მოყვითალო ფერის კვადრებით. ეკლესიას ახლავს მდიდრულად მოჩუქურთმებული კანკელი და როგორც ირკვევა შიგნით მოხატულიც ყოფილა. როგორც აღნიშავლეთის ფასადზე მოჩუქურთმებული საკმლის ზემოთ მოთავსებული ვრცელი წარწერიდან ირკვევა ეკლესია აგებულია 1341 წ. ან სავარაუდოა 1211 წელს. 139
33. ეკლესია. სოფ. ვაკის ჩრდილოეთით 600 მ. დაშორებით მცირე, ერთნავიანი, კარგი პროპორციების შემცველი ეკლესია, აგებული ტუფის თლილი კვადრებით. 140
34. ნასოფლარი. სოფ. ვაკის დასავლეთით 1 კმ. მანძილზე. პატარა ნასოფლარი, და ცალნავიანი ეკლესია. სავარაუდოა აქ სოფ. წირანთა. 141
35. ეკლესია. სოფ. ვაკის ჩრდილოეთით 2 კმ. მანძილზე, ძველი ცალნავიანი ეკლესიის ნანგრევი და ირგვლივ ნასახლართა კვალი. 142
36. ნასოფლარი. სოფ. ვაკის დასავლეთით 5 კმ. მანძილზე, ხშირ ტყეში ტერასებზე მოფენილია ნასოფლარები, ალბათ XI-XIII საუკუნეებისა. სოფელ-



ში მოზრდილი ცალნავიანი ეკლესიაა მრავალი საყურადღებო დეტალური
 იგი შემოსილია მოყვითალო ფერის ტუფის თლილი კვადრებით. არქიტექტურ-
 რული ფორმების მიხედვით XI-XIII სს უნდა იყოს აგებული. 143

ასურეთის ხევი

1. ეკლესია. სოფ. ასურეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით 2,5 კმ. მანძილზე. ნასოფლარის ნაშთები და მის მახლობლად კორაკზე გვიანფეოდალური ხანის ეკლესიის ნანგრევი. ადგილობრივ ნასოფლარს ძველ მუხათს უწოდებენ. 144
2. ეკლესია. სოფ. ასურეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით 2,5 კმ. მანძილზე. მცირე ზომის ცალნავიანი ეკლესია, ძლიერ რესტავირებული XVII საუკუნეში. საყურადღებოა მისი კონქის აგურით გამოყვანილი კამარა. მას უწინ კაბენის ეკლესია ეწოდებოდა. ეკლესიის ირგვლივ გვიანფეოდალური ხანის სასაფლაოა. 145
3. ბაგრაქეთი. აწინდელი სოფ. ენაგეთი. სოფლის ჩრდილო ნაწილში დგას ძველი ეკლესია გადაკეთებული 1903 წ. ყორანოვების სამეაღედ. ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა. 146
4. ეკლესია. სოფ. ენაგეთის ჩრდილოეთით შალობზე. ორი ცალნავიანი, უსახო გვიანფეოდალური ხანის ეკლესია. ერთი კვირაცხოვლის და მეორე ღვთისმშობლის სახელობისა. ეკლესიების ირგვლივ სასაფლაოა. 147
5. ახალშენი. სოფ. ენაგეთის ჩრდილოეთით 1 კმ. მანძილზე. ნასოფლარის ნაშთები, რომლებსაც ადგილობრივ ახალშენს უწოდებენ. 148
6. ასურეთი. ასურეთის წყალსა და მის შენაკადს შორის, აწინდელი სოფ. ასურეთის ჩრდილოეთით 2,5 კმ. მანძილზე. ტყეში და ნაწილობრივ ვენახებში ჩანს გვიანფეოდალური ხანის სოფლის ნაშთები. რიყის ქვით ნაგები შენობები და საწნახელი. სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში დგას ქვიშაქვით ნაგები მცირე ზომის ეკლესიის ნანგრევი. 149
7. ბორბალი. სოფლის შუაგულში გვიანფეოდალური ხანის კოშკი. შემორჩენილია მისი პირველი სართული და ნაწილობრივ მეორეც. კოშკი აგებულია ფლეთილი და რიყის ქვით. კოშკის მახლობლად დგას საცხოვრებელი შენობის ნანგრევი, რომელიც სოლოლაშვილებს ეკუთვნოდა. სოფლის სამხრეთის ნაწილში დგას XVIII საუკუნეში აგებული მცირე ზომის ეკლესია. ეკლესიის ირგვლივ ამავე დროის ბარათაშვილთა გვარის სასაფლაოა. მეორე, აწინდელი სასაფლაო მდებარეობს სოფლის სამხრეთით 200-ოდ მეტრის მანძილზე. 150

უშგულის ხუროთმოძღვრული ანსამბლის დაცვის პრობლემა

ქალაქთმშენებლობითი ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობა ქართული ეროვნული კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება ქალაქთგეგმარებით-ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის დასაცავად. არაერთი ისტორიული ქალაქი და სოფელი სახელმწიფო დაცვაზეა აყვანილი. ბევრი მათგანი არქიტექტურულ ნაკრძალადაა გამოცხადებული. ისტორიული ქალაქებისა და სოფლების რეკონსტრუქციის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისტორიულ არქიტექტურულ-გეგმარებითი სტრუქტურებისა და დასახლებათა უძველესი ფორმების დაცვისა და შენარჩუნების საკითხს, რაც თავის მხრივ, თანამედროვე ქალაქთმშენებლობის რთულ პრობლემებთანაა დაკავშირებული.

დასახლებათა უძველესი ფორმები საქართველოში ყველაზე უფრო მაღალ-მთიან რაიონებში, კერძოდ ზემო სვანეთშია შემონახული. გარკვეული სტრატეგიული მოსახრებით მოსახლეობის კონცენტრაცია, განსაზღვრულ ტერიტორიაზე მატერიალური გარემოების შერწყმა საზოგადოებრივ ფუნქციებთან ზემო სვანეთში ქმნიდა ისეთ საინტერესო და თავისებურ გეგმარებით-სივრცობრივ სტრუქტურებს, როგორცაა მაგალითად უშგულის დასახლება. არქიტექტურულ ნაწარმოებში მხატვრული და ფუნქციური მხარეების ორიგინალურ შეთავსების, მშენებლის მიერ რელიეფის გამოყენებისა და ხუროთმოძღვრების ლანდშაფტთან შერწყმის თვალსაზრისით, უშგული წარმოადგენს ძველქართულ ქალაქთმშენებლობისა და ხუროთმოძღვრების უნიკალურ ძეგლს.

უშგული შედგება ოთხი სოფლისაგან: მურყმელის, ჩაქაშის, ჩებაიანისა და ყიბიანისაგან. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 ოქტომბრის დადგენილებით უშგულის თემის სოფელი ჩაქაში არქიტექტურულ ნაკრძალადაა გამოცხადებული. დადგენილება ითვალისწინებს ჩაქაშის თავდაპირველ მხატვრულ-არქიტექტურული სახის აღდგენას და მის გადაქცევას სოფელ-მუზეუმად. ამ მნიშვნელოვან ღონისძიებათა შესასრულებლად უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები, მაგრამ უშგულის არქიტექტურულ სისტემაში არა მარტო ჩაქაშის კომპლექსია საყურადღებო, არამედ მთელი უშგულის საერთო განაშენიანების კანონზომიერება: ანსამბლის ხუროთმოძღვრულ — კომპოზიციური ღერძები, სივრცობრივი კავშირები ცალკეულ ძეგლებსა და ძეგლთა ჯგუფებს შორის, ცალკეული ძეგლებისა და ანსამბლების პანორამული აღქმის ზონები, სივრცის მასშტაბურობა და სხვა. უშგულში შემავალი ოთხივე სოფელი, უშგულის მთელი ხუროთმოძღვრული ანსამბლი-მურყმელიდან დაწყებული, ჩაქაშითან მარჯვნივ მდებარე ქედზე განლაგებული თამარის ციხითა და უშგულის უკიდურესი წერტილით — ლამარის საკულტო-სათავდაცვო კომპლექსით დამთავრებული წარმოადგენს ქალაქთმშენებლობისა და ხუროთმოძღვრების ერთიან ძეგლს. იგი დაცულ უნდა იქნეს მთლიანად, რადგან არქიტექტურის ძეგლების დაცვის პრობლემათა კომპლექსური გადაწყვეტისას უმთავრესი ამოცანაა არა მხოლოდ ცალკეული ძეგლების, არამედ ხუროთმოძღვრული ძე-

გლების ისტორიულად ჩამოყალიბებული არქიტექტურული სისტემების რჩენება ქალაქთგეგმარებითი და მოცულობით-სივრცითი სტრუქტურის დაურღვევლად.

უშგულის ხუროთმოძღვრების თავისებურება, ფუნქციონალურ-გეგმარებითი ხასიათის სხვა ადგილობრივი თავისებურებანი, მატერიალური კულტურისა და ხელოვნების ძეგლებთან ერთად, წარმოადგენენ უძვირფასეს მასალას ქართული ხალხის ისტორიისა და მისი კულტურის შესწავლისათვის.

უშგულის ხუროთმოძღვრების თავისებურება, ფუნქციონალურ-გეგმარებითი და სივრცით — კომპოზიციური გადაწყვეტა, ბუნებრივი ფაქტორებით (გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფი, ჰავა, გეოლოგიური პირობები) და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობით იყო განპირობებული. უშგულის არქიტექტურულ-გეგმარებითი სტრუქტურა საუკუნეების მანძილზე უცვლელი რჩებოდა, ადგილობრივი ბუნებრივი პირობებისათვის ამგვარი ხუროთმოძღვრულ-გეგმარებითი გადაწყვეტა კი ოპტიმალური იყო. გეოგრაფიულად სვანეთი ორ ნაწილად იყოფა — ზემო და ქვემო სვანეთად. თავის მხრივ ზემო სვანეთი ისტორიულად იყოფა ორ ნაწილად: თავისუფალ სვანეთად, სადაც განსაზღვრული დროიდან მოსობილ იქნა ხელისუფლება სვანთა ერისთავისა და სათაუადო ანუ სადადეშქელი ანო სვანეთად, სადაც დადეშქელიანებმა შეინარჩუნეს ბატონობა უკანასკნელ დრომდე: „თვით სვანები, ზემო სვანეთში განასხვავებდნენ „ჟიბე ხეეს“ და „ჩუბეხეეს“, რაც „ბალსზემო — ანუ თავისუფალ სვანეთს და „ბალსქვემო ანუ სადადეშქელიანო სვანეთს შეესატყვისებოდა. „ისტორიულად ჩამოყალიბებული სამი ძირითადი კუთხე სვანეთისა (ქვემო, ზემო და თავისუფალი სვანეთი) საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების სხვადასხვა დონეს წარმოადგენდა. ეს გარემოება, ბუნებრივია, თავს იჩენდა კულტურისა და ყოფის სხვადასხვა მხარეში. დასახლების ეს ფორმა არ შეიძლება ნეიტრალური ყოფილიყო ამ გარემოების მიმართ, პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ იგი წარმოადგენს ყოფის იმ მხარეს, რომელიც ამ დონეთა განსხვავებას გარკვეულად ასახავს.“²

თუ კლასობრივი საზოგადოების ფორმაცია საქართველოს ბარში ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე დაიწყო, საქართველოს ზოგიერთი მაღალმთიანი რაიონი კერძოდ, თავისუფალი სვანეთი, სოციალური ურთიერთობის ადრეულ ფორმებს ინარჩუნებდა თვით გვიანდელი ეპოქაშიც კი. უშგულის ხუროთმოძღვრება, როგორც დასახლების ფორმით, ისევე საცხოვრებელი კომპლექსების გეგმარებითი და ფუნქციონალური სტრუქტურით, სწორედ სასოფლო თემის ნიშნებით ხასიათდება.

ბალსზემო, თავისუფალ ე. წ. უბატონო (უფუსდო) სვანეთში დასახლების თავისებურ, საინტერესო ფორმას წარმოადგენს „ხეე“, რაც ნიშნავს ტერიტორიულ პრინციპზე დამყარებულ საზოგადოებრივ გაერთიანებას ანუ რამოდენიმე სოფლის შეკავშირებას ერთ საზოგადოებაში, ერთ თემში („აბუასდ“). ზევის დასახლებების ტიპური მაგალითია უშგული, რომელიც ზემო სვანეთში, მდინარე ენგურის ზედა წელის ეიწრო ხეობაში, კავკასიონის კალთების ბუნებრივ ტერასებზეა განლაგებული (ხლვის დონიდან 2200 მეტრზე). თავისი მჭიდროდ დასახლებული სოფლებითა და მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული



სახნავ სათესებითა და სათიბებით, ტყეებით და შედარებით მოშორებით მდებარე სახაფხულო სამოყრებით, ბუნებრივი საზღვრებით — მალაქის ქვიშაქვებით შემოფარგლული უშგული ერთ კომპაქტურ გეოგრაფიულ მთლიანობას წარმოადგენს. გეოგრაფიული და ადმინისტრაციულ-პოლიტიკური საზღვრების თანხვედრილობა „ხევის“ ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანთვით სებაა. უშგულში დასახლებებისათვის ძირითადად კლდოვანი, სახნავ-სათესად უვარგისი ადგილებია გამოყენებული. უშგულის სოფლების განაშენიანება შედგება ცალკეული საცხოვრებელი კომპლექსებისაგან. საცხოვრებელი კომპლექსის შემადგენლობაში შედის. ყორეთი შემოფარგლული მცირე საკარმიდამო ნაკვეთი, და ერთი ან რამდენიმე სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა. საცხოვრებელი სახლის პირველი სართული „მაჩუბ“ სწორკუთხედიანი დიდი სათავსია (ფართობი 80-120 კვ. მ. სიმაღლე 3-5 მ.). სათავსის შუაში მოთავსებული იყო კერა. მაჩუბი წლის ცივ პერიოდში საცხოვრებლად იყო განკუთვნილი. მაჩუბშივე იყო ხის მსუბუქი ტიხრით გამოყოფილი, საქონლის სადგამი. თბილ თვეებში ხალხი სახლის მეორე სართულზე („დარბაზ“ იგივე „მაკობ“) ატარებდა. დარბაზის შუაშიც იყო კერა. სპეციალური გადასასვლელი სახლი სათავდაცვლო ნაგებობას-კოშკს უკავშირდებოდა, სადაც საშიშროების დროს მთელი ოჯახი იხიზნებოდა. უშგულში არ ყოფილა არცერთი ოჯახი, რომელსაც საკუთარი კოშკი არ ჰქონდა. მრავალრიცხოვანი და შექმნილი ოჯახები ხშირად ორ-ორ კოშკსაც კი იგებდნენ ზოლმე. სოფელ ჩეაბინსა და ჩაქაშში ფიქსირებულია დუბლირებული კოშკების მეტად საინტერესო შემთხვევები. გარდა საოჯახო კოშკებისა უშგულში იყო აგრეთვე საერთო, სათვალთვალო და სათავდაცვო კოშკები, რაც ზემო სვანეთის დასახლებებისათვის არ იყო დამახასიათებელი. უშგულში ასეთი კოშკების არსებობა საქართველოს ჩრდილოეთ სასაზღვრო მდებარეობით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ასეთი კოშკები ზოგჯერ ერთმანეთთან დახურული გადასასვლელებით ყოფილა დაკავშირებული, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს მათ საერთო-სათავდაცვო დანიშნულებას.

სვანური კოშკი გეგმაში კვადრატული (5, 5X5, 5), ოთხ-ხუთ, იშვიათად ექვსსართულიანი ნაგებობაა (სიმაღლე 20-25 მეტრი). კოშკი ძირიდან თავისაკენ თანდათან ვიწროვდება და მთავრდება საბრძოლო დურთობიანი („მდურ“) — გაფართოებული გვირგვინით და ფლეთილი ქვის ორქანობიანი სახურავით. კოშკში შესასვლელი და პირველი სართულის იატაკი მიწის დონიდან 6-7 მეტრითაა აცილებული. ამ დონემდე ნაგებობა დახშულია და კოშკის ერთგვარ მიწისზედა საძირკველს ან მონოლითურ პედესტალს წარმოადგენს. უშგულის კოშკები რამდენადმე განსხვავდება ტიპური სვანური კოშკებისაგან — დიდი გაბარიტებით, განსაკუთრებული საბრძოლო იერით და ხუროთმოძღვრული ფორმების ნაირგვარობით. აქ ხშირია ექვს-შვიდ სართულიანი კოშკები. თუ სვანური კოშკების უმრავლესობას სამი-ოთხი საბრძოლო დურთობიანი აქვს, უშგულში ვხვდებით როგორც ორ, ისე ექვსდუროიან კოშკებს. აქვე ვხვდებით აგრეთვე არა სვანური ტიპის კოშკებს, რომლებიც თავისი ფორმით, სამშენებლო მასალის წყობით, გადახურვის სისტემით და მამოყულებების ფორმით, განსხვავდებიან ჩვეულებრივი სვანური კოშკებისაგან და აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთში გავრცელებულ კოშკებს უახლოვდებიან. ვარაუდობენ, რომ ეს კოშკები, ისევე როგორც საერთო-სათავდაცვო კოშკები, საქართველოს ცენტრალურა

ხელისუფლების მითითებით უნდა ყოფილიყო აგებული, რაც აგრეთვე უშუალოდ უნდა განხორციელებულიყო. კომპეტენციის სასაზღვრო მდებარეობით უნდა ყოფილიყო განპირობებული. კომპეტენციის ხუროთმოძღვრული იერსახის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. კომპეტენციის სიმალლე და ნაირგვარობა, კლდეანი რელიეფი, უშუალოდ ერთიან, შეუქცევად ციხე-სიმაგრედ ხდის. შეუქცევადობის შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ მკაცრი ჰაეისა და ხანგრძლივი ზამთრის გამო, ალბათ თბოიზოლაციის მიზნით, ნაგებობებს, საცხოვრებლებსაც კი, ფანჯრები საერთოდ არ უყვებოდნენ. მხედველობაში არაა მისაღები მცირე ზომის საბრძოლო ხერხელები — სათოფურები, რომელიც საცხოვრებლის კედლებს ჰქონდათ დატანებული, საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ფუნქციების შეთვისებულობა დამახასიათებელია უშუალოდ ხუროთმოძღვრებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სვანეთის ყველა დასახლებათაგან მხოლოდ უშუალოდ შემორჩენილი მეტად საინტერესო კომპლექსური ნაგებობა — ცალკე მდგომი სამსართულიანი „ციხე-სახლი“. ერთ მოცულობაში გაერთიანებული საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ფუნქციების სრული შესატყვისობითა და შესაბამისი სათესების განლაგებით ციხე-სახლი, მთის სახლის მძალაგანვითარებულ და მეტად ორიგინალურ ფორმას წარმოადგენს.

განსხვავებით სვანეთის სხვა კუთხეებისაგან უშუალოდ კომპეტენციის, უმეტეს შემთხვევაში შეუქცევად სტრუქტურაზე. სამშენებლო მასალად იყენებდნენ ადგილობრივ ფილაქანს. ქვის ბუნებრივი მოყვითალო-მონაცრისფერო ფერი სასიამოვნო კოლორიტს ქმნის უშუალოდ სოფლებში.

ამრიგად უშუალოდ ხუროთმოძღვრებაში ბევრია ორიგინალური, მხოლოდ უშუალოდ სვანეთის დამახასიათებელი, თვით სვანეთის ხუროთმოძღვრებისაგან განსხვავებული მოვლენები, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მას.

უშუალოდ ხუროთმოძღვრული ძეგლები ძირითადად შუა საუკუნეებს განეკუთვნებიან, საუკუნეთა განივად, მათ ცხადია, მრავალი სახეცვლილება, ნგრევა და დეფორმაცია განიცადეს. სვანეთის ცნობილი მკვლევარის ფრეშფილდის ცნობით XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში მარტო უშუალოდ ორმოცდაათამდე კომპეტენციის იყო. 1938 წელს, როცა იქ კვლევითი სამუშაოებს ატარებდნენ არქიტექტორები, გ. ლევაჟა და მ. ჯანდიერი, უშუალოდ ოცდაათამდე კომპეტენციის ითვლებოდა. ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე კომპეტენციის რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. 1972-1973 წწ. როცა იქ ახლახანადაა და კვლევითი სამუშაოებს ვატარებდით ჩვენ, არქიტექტორ-რესტავრატორ ლ. ხიმშიაშვილთან ერთად, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტ. ფაკულტეტის რესტავრაციის განყოფილების სტუდენტების მონაწილეობით, უშუალოდ კომპეტენციის რაოდენობა ოცდაათამდე იყო შემცირებული. ამასთან ბევრი ძლიერ დაზიანებული და ზოგიც დანგრევის პირამდე იყო მისული. იგივე ითქმის საცხოვრებლებზე და საკულტო და სასაზღვრო დახმარებლების ნაგებობებზე. 1938 წელს გ. ლევაჟასა და მ. ჯანდიერის მიერ სოფელ ჩაქაში ფიქსირებული იყო დაზიარული გადასასვლელებით დაკავშირებული სამი საერთო სათავდაცვო კომპეტენციისათვის კი გადასასვლელების, ამ მეტად საინტერესო ნაგებობათა კვალიც კი არ ჩანს. მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. არანაკლები ზიანი მიყენა უშუალოდ ხუროთმოძღვრებას ახალშენებლობამ, რომელიც სტიქიურად,



ხუროთმოძღვრების ძეგლებისადმი ანგარიშგაუწევლად მიმდინარეობდა მათი მონუმენტული განაშენიანება. განსაკუთრებით სიფილისის მონუმენტული პრაქტიკულად აღარ ესაჭიროება. ცნობილია, რომ ბევრი უნიკალური ძეგლი თვითონ პატრონებმა დაანგრეს და ახალი საცხოვრებელი სახლის ასაშენებელ მასალად გამოიყენეს დანაკარგი დიდია, ამიტომაც დიდია მოცულობა იმ სამუშაოებისა, რასაც ძეგლის თავდაპირველი სახის აღდგენა მოითხოვს.

სვანეთის თავისი უმდიდრესი ბუნებრივი რესურსებით განვითარების გრანდიოზული პერსპექტიული გეგმები გააჩნია საკურორტო, ტურისტულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ბაზების შექმნისა და საერთო-სახალხო მშენებლობის გაშლის თვალსაზრისით. დღეისათვის, ენგურძესის მშენებლობასთან და კეთილმოწყობილ საავტომობილო გზის გაყვანასთან დაკავშირებით, ამ შესაძლებლობათა გამოყენება რეალურ და გადაუდებელ საქმედ იქცა. ამ დღემნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელება უნდა მოხდეს მეცნიერულად დასაბუთებული, სვანეთის ბუნებრივი პირობებისა და ხუროთმოძღვრების სპეციალური გათვალისწინებით დამუშავებული რეკონსტრუქციის პროექტის საფუძველზე, სადაც არქიტექტურის ძეგლებისა და მათი გარემომცველი ისტორიული გარემოს ხელშეუხებლობის პრინციპი იქნება ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპად მიჩნეული. რეკონსტრუქციის პროექტის შედგენას წინ უნდა უსწრებდეს სერიოზული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, არა მხოლოდ ცალკეული მნიშვნელოვანი ობიექტების შესწავლითა და დოკუმენტაციით არამედ ისტორიულ გეგმარებითი სტრუქტურისა და განაგარიშების შესწავლითა და განალიზებით. საკვლევო ობიექტის ქალაქთგეგმარებითი პრინციპით შესწავლა საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ მისი ისტორიულ-მხატვრული მნიშვნელობის შესაბამისი ადგილი, ფუნქცია და გამოყენების საშუალებები თანამედროვე განაშენიანების სისტემაში. ღონისძიებები ისტორიულ ქალაქთგეგმარებით ძეგლების დასაცავად დასახული უნდა იყოს ჯერ კიდევ რაიონული დაგეგმარების სტადიაზე. მხოლოდ ამ გზით შეიძლება სვანეთის თავისებურების, მისი განუყოფელი მხატვრული სახის შენარჩუნება. უშგულის ბედი განუყოფელია სვანეთის ბედისაგან. ისტორიული გეგმარების მეცნიერული გაანალიზებისა და გეგმარებითი სისტემის ნატურული კვლევის საფუძველზე, უნდა განისაზღვროს უშგულის ხუროთმოძღვრული ანსამბლის დაცვის ზონა, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა შეიცავდეს დაცვის სამ სხვადასხვა ზონას: 1. ნაკრძალ ზონას, 2. რეგულირებული მშენებლობის ზონას და 3. ბუნების დაცვის ზონას.

ნაკრძალ ზონაში უნდა შევიდეს სოფ. ჩაქაში მთლიანად და ისტორიულ-ხუროთმოძღვრული მნიშვნელობის ცალკეული კომპლექსები: თამარის ციხე ჩაქაშის მახლობლად, ლამარიას საკულტო-სათავდაცვო ნაგებობათა კომპლექსი — ვიბიანის ზემოთ და სხვადასხვა სოფლებში განლაგებული მნიშვნელოვანი ნაგებობები: ეკლესიები, ძველი წყლის წისქვილები, განსაკუთრებით სიანტერესო საცხოვრებელი კომპლექსები, როგორცაა მაგალითად მოსე ჭელიძის სახლი სოფელ მურყმელში, ყალბდურობიანი ფასადითა და სხვ. უნდა აღსდგეს (ამისათვის არსებობს ფაქტობრივი მასალა) და ნაკრძალად გამოცხადდეს უშგულის ყველა კოშკი.

ნაკრძალ ზონაში რესტავრაციის გარდა დაუშვებელი უნდა იყოს სხვა

რამე მშენებლობითი საქმიანობა. დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ სარემონტო სამუშაოების წარმოება და ძველი ნაგებობების აღმასკვა, გარეგანი სახის შეუცვლელად, ახალი დანიშნულებით გამოყენების მიზნით.

რეგულირებელი მშენებლობის ზონაში უნდა შევიდეს უშუალოდ დანარჩენი სამი სოფელი: მურყნელი, ჩვაბიანი და ყიბიანი. ამ ზონაში დაშვებული უნდა იყოს რეკონსტრუქცია და ახლის შენებაც, მხოლოდ ისტორიულ-გეგმარებითი სქემის და მოცულობით-სივრცითი სტრუქტურის დაურღვევლად რეგულირებელი მშენებლობის სარევიმო ზონაში ახალი ნაგებობების სილუეტის, მასშტაბის და სამშენებლო მასალის ფერის შერჩევა არქიტექტურის ძეგლებთან, როგორც წამყვან ობიექტებთან დაქვემდებარებით უნდა მოხდეს. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ბუნებრივი ფაქტორების, ხეოთმოძღვრული ძეგლებისა და ახალი განაშენიანების სრული შესატყვისობა.

ბუნების დაცვის ზონაში, რომლის საზღვრები ფაქტიურად იგივე იქნება, რაც უშუალოდ დაცვის საერთო ზონისა, უნდა შევიდეს უშუალოდ არქიტექტურული ანსამბლის მომდებარე ტერიტორიები, რომლებიც მოიცავენ ანსამბლის კომპოზიციური გავლენის არეს. ხეოთმოძღვრული ანსამბლის გარშემო ბუნების დასაცავი ზონა უზრუნველყოფს ანსამბლის მომგებიან სივრცით და შორეული ლანდშაფტური ფონის პერსპექტიულ ხედების შენარჩუნებას, რაც აუცილებლად მიგვაჩინა არქიტექტურისა და ბუნების ერთობლივი აღქმის თვალსაზრისით, მაგრამ ამ დიდებულ ხეოთმოძღვრული ძეგლის კომპოზიციური გავლენის არე შეიძლება რამოდენიმე კილომეტრს მოიცავდეს. განვითარებადი სოფლის ფარგლებში ასეთი დიდი ტერიტორიების ხელუხლებლად დატოვება არ არის მიზანშეწონილი, ამიტომ იეთი ბუნების დაცვის ზონაში უნდა განვასხვავოთ ორი ე. წ. ქვეზონა: მკაცრი რევიმის ანუ ნაკრძალი ზონა და რეგულირებელი მშენებლობის ზონა. ბუნების დაცვის ნაკრძალი ზონის საზღვრის დასადგენად საჭიროა გაკეთდეს რელიეფის ანალიზი არქიტექტურული ანსამბლის მთავარი პერსპექტივების პრაფილების აგებით და ხედვითი მიმართულების მიხედვით (როგორც მესტიის ისე რაჭის მხრიდან) და განისაზღვროს ის ტერიტორიები, სადაც მკაცრი რევიმი იქნება დაცული და აიკრძალება ყოველგვარი მშენებლობა. ეს ზონა უნდა გაიწმინდოს აგრეთვე, ახალი მაგრამ უფარგონი ნაგებობებისაგან, როგორცაა მაგალითად, სასოფლო საბჭოს და ფოსტის შენობა. ბუნების დაცვის ზონის რეგულირებელი მშენებლობის ქვეზონაში დასაშვებია უნდა იყოს ერთი ან ორსართულიანი ნაგებობების მშენებლობა, რომლებიც თავისი გაბარიტებით და მოცულობით ან ფერით არ უნდა იქცეოდნენ ყურადღებას. ასეთები შეიძლება იყოს სასოფლო-სამეურნეო ნაგებობები, მცირე ზომის ტურისტული სასტუმროები-კემპინგები, დაუშვებელია ნაგებობათა შეჯგუფება. ისინი ვაფანტულნი უნდა იყვნენ ცალკეული ობიექტების სახით. ამ ზონაში ყოველგვარი მშენებლობა ბუნებრივ კომპონენტებთან დაქვემდებარებით უნდა მოხდეს.

რაც შეეხება ხეოთმოძღვრული ძეგლების ახალი დანიშნულებით გამოყენებას, არქიტექტურის სპეციფიკა გამორიცხავს არქიტექტურის ნაწარმოების უფუნქციოდ, იზოლირებულად შენახვას, მისი სამუზეუმო ექსპონატად გადაქცევას, ამიტომ მართებულია იღვა ხეოთმოძღვრებას ძეგლების ადაპტაციისა ახალი დანიშნულებით გამოყენების მიზნით. არქიტექტურულ ნაკრძალად



გამოცხადებული სოფელი ჩაქაში უნდა იქცეს ნამდვილ მუზეუმად. მანუბებისა, დარბაზებისა და კოშკებისა უნდა იქცეს საექსპოზიციო დარბაზებად, სადაც გამოფენილი იქნება ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ნიმუშები, რითაც ესოდენ მდიდარია ზემო სვანეთი. აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის აღწერით მარტო ჩაქაშის პატარა ეკლესიაში ინახება 199 დასახელების სხვადასხვა ნივთი, ხელოვნების ნაწარმოებები, მათ შორის მე-11-12-13 საუკუნეების უნიკალური ხატები, ფერწერისა და ოქრომჭედლობის შედეგები. ზემო სვანეთში და კერძოდ უშგულში მხარეთმცოდნეობისა და ხელოვნების მუზეუმის დაარსების აუცილებლობის შესახებ ლეწლმოსილი მეცნიერი ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინათ წერდა:

«Имеющийся в Земо-Сванетии материал позволяет создать музейную экспозицию, мировое значение которой определяется художественной ценностью предметов их количеством и распределением по всему хронологическому периоду в тысячу с лишним лет»¹. «...Коллекции Ушгули имеют чисто музейный характер и значение, как по качеству, так и по количеству и разнообразию предметов, также потребуют организаций музея»².

ასეთი მუზეუმების დაარსება კიდევ იმით არის გამართლებული, რომ უშგული მდებარეობს დიდ ტურისტულ ტრასაზე, რომლის გამტარუნარიანობა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ნაწილი კოშკებისა და მანუბებისა შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთ-ორ დღიან მინი სასტუმროებად. ეთნოგრაფიული ხასიათის ადგილობრივი თავისებურებანი, სვანური საცხოვრებლის ინტერიერის მოწყობილობა, ნაციონალური ავეჯი და სხვა მნახველს შეუქმნის წარმოდგენას სვანეთის ყოფა-ცხოვრებაზე. წარსულის ყოფა-ცხოვრებითი ელემენტების შენარჩუნებით უნდა შეიქმნას ყველა პირობა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აქტიური და კულტურული დასვენებისათვის. ამრიგად, წარსულის კულტურული მემკვიდრეობა მიიღებს არა მარტო ახალ ფუნქციას, არამედ ახალ იდეურ შინაარსსაც.

თანამედროვე სოფლის ზრდა, მსხვილი საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივ ნაგებობათა კულტურულ-საგანმანათლებლო და საეკურო ობიექტების მშენებლობა, აგრეთვე ჩაქაშიდან გასაყვანი მოსახლეობის დასახლება გათვალისწინებული უნდა იქნას უშგულის ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ანსამბლის დაცვის ზონის ფარგლებს გარეთ, მის სიახლოვეს, ამასთან საჭიროა, რომ ძველი სოფლების დამაკავშირებელი კომპოზიციური და ფუნქციონალური ღერძები გავრძელდნენ და დაუკავშირდნენ ახალ დასახლებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას ხუროთმოძღვრული ძეგლის აქტიური ჩართვა თანამედროვე ცხოვრების სისტემაში. ჩვენი აზრით, ახალი სოფელი უნდა ამენდეს ახლებურად, ძველთან მიმსგავსების ცდის გარეშე, თანამედროვე მოთხოვნილებათა და შესაძლებლობათა შესაბამისად.

¹ ვ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 135.
² რ. ხარაძე, აღ. რომაძეძე, სვანეთის სოფელი ძველად, გამოცე. «საბჭოთა საქართველო», თბ., 1964.
³ Г. Чубинашвили, «О необходимости здания краеведческого музея в Сванетии (1949 г.)», «ძეგლის მეგობარი», № 31—32, 1973.
⁴ Г. Чубинашвили, «О работе по учету и охране культурно-исторических памятников Сванетии (1949 г.)», «ძეგლის მეგობარი», № 31—32, 1973.



ბათუმში, სტუმარში — სამონასტრო კომპლექსი

„მყინვარსა კლდესა შინა არიან ქუაზნი გამოკუთვითლი ფრიად მალალსა, და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა, გარდმოკიდებული ქუაზიდან, და მით აღვლენ. იტყვიან უფლის აქლანსა მუნ და აბრაჰამის კარავსა, მდგომსა უსუეტოდ, უსაბლოდ, და სხუათაჲ საკვირველთა. არამედ მე ვლემებ.“

კულად ძირსა მისსა არს მონასტერი კლდესა შინა გამოკუთვითლი უდაბნოდ და აწ ცარიელი“.

ეს სიტყვები ვახუშტი ბაგრატიონს ეკუთვნის და როგორც ჩანს, რაზედაც ვახუშტი არ სდუმს ის სრული სინამდვილეა.

ჩვენს საუკუნეში ბეთლემის გამოქვაბულს პირველად 1948 წელს ესტუმრა ჯგუფი განთქმული მთამსვლელის ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით და ყაზბეგის მუზეუმის დირექტორის ალიბეგაშვილის მონაწილეობით. ავტორიტეტულმა კომისიამ დაათვალიერა იქ მოპოვებული ნივთიერი მასალა და ბეთლემის გამოქვაბულის დეტალური, მეცნიერული შესწავლა აუცილებლად მიიჩნია. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ასეთი ნაბიჯი ჯერ არ გადადგმულა.

ოცდაათი წლის შემდეგ ბეთლემის მიდამოებს ეწვია უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს მიერ ორგანიზებული ჯგუფი. ექსპედიცია მოეწყო უნივერსიტეტის დაარსების 60 და მყინვარწვევრზე პირველი ლაშქრობის 55 წლისთავის აღსანიშნავად 1978 წლის 14 დან 21 ოქტომბრამდე. ეს წერილი ამ ექსპედიციის ანგარიშია.

მყინვარწვევის ფერდობები ექსპედიციისათვის სასურველად მცირეთოვლიანი იყო. ხელსაწყო იარაღები და საკვები, ცხენების დახმარებით ავზიდეთ და მეტეოსადგურში დაებანაკლით (იგი ზღვის დონიდან 3650 მეტრზე მდებარეობს). აქედან აღმოსავლეთით კლდეთა მასივებს თუ თვალს შეაჩვევ, ჭოგრიტის გარეშეც მოჩანს ბეთლემის გამოქვაბული, შორს კამკამა ცაზე ქარის სილუეტი რომ გაიყინება ისეთი. ამავე ხედვის წერტილიდან ქვემოთ, ოდნავ მარჯვნივ გურგეტისა და აბანოს მყინვართა გამყოფ ბეთლემის ქედზე გარკვევით შეინიშნება ადგალი, რომელიც ოდესღაც სამონასტრო კომპლექსის ცენტრი უნდა ყოფილიყო. გამოქვაბულსა და სამონასტრო კომპლექსის ცენტრს შორის დონეთა სხვაობა 250 მეტრი აღმოჩნდა, თვით გამოქვაბული კი ზღვის დონიდან 2982 მეტრზე მდებარეობს.

უნიკალურია ქრისტიანული მცირეაზიისა და ევროპისათვის ასეთ სიმაღლეზე სამონასტრო კომპლექსის არსებობა და საკვირველიცაა, რადგან აქ არ არის ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობები.

შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული თვალსაზრისით მონასტერს მეტად საინტერესო მდებარეობა უკავია; მოწმენდილ, ნათელ ამინდში აქედან დაბა ყაზბეგი და სამების ლამაზი კონტური, გარკვევით მოჩანს.



სამონასტრო კომპლექსის ცენტრის ხე-
დი ჩრდ. დასავლეთის მხრიდან.

Вид монастырского комплекса с
северо-запада.

აფსიდიანი ორსართულიანი ეკლესიის
დასავლეთი კედლის ხედი.

Вид западной стены двухэтажной
церкви.



ექსპერიციამ შეძლო დაემოწმებინა ათი ნაგებობის ნანგრევი და ისინი მშენებლობის მიზნებისათვის გამოიყენებინა. მათგან უმეტესად აღინიშნება სხვადასხვა ზომის რამდენიმე ნაგებობა, რომელიც სათვალთვალ დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო მშრალი წესითა ნაშენი. მასალად ადგილობრივი ნაშალი ქანების სანაქვეროდ დამუშავებული ქვაა გამოყენებული. გადაჭურვისათვის დიდი ზომის ფილაქანია მოზიდული საკმაოდ შორი მანძილიდან (დაახლოებით ორი კილომეტრის რადიუსში მსგავსი ქანები არ შეინიშნება). გამოყენებული იყო ხეც (კარებად, იელებად).

სამონასტრო კომპლექსის ცენტრს უდავოდ წიალიდან ამოზიდული კლდე წარმოადგენს, რომლის ზომები დაახლოებით ასეთია $5 \times 4 \times 10$ მ. მის ოთხივე მხარეს ნაგებობათა ნანგრევების კვალია დარჩენილი. კომპლექსის ყველაზე დიდი ზომის შენობა 4×4 მ კვადრატული ვეგმის აფსიდიანი ნაგებობაა. მას ჩრდილო კედლად კლდის სამხრეთი მხარე აქვს, ამ მხარეზე შემორჩენილი კვალი გადაჭურვის ხერხზე უნდა მიუთითებდეს. დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლების სიახლოვეს კი ამოკვეთილია ორი ნიშა. აფსიდი აღმოსავლეთის მხარესაა მიმართული, იგი კლდიდან $0,5$ მეტრის მოშორებით იწყება, დიამეტრი $1,5$ მეტრია. ეკლესიის კედლები შემორჩენილია ჩანგრეული. ნაყაროდან საშუალოდ $1-1,5$ მ სიმაღლეზე. დასავლეთის კედელი დაწყებული ჩრდილოეთის კედლიდან 2 მ სიგრძეზე 20 სმ-ით სქელია და შიგნითაა შეწყველი. ნაგებობას შესასვლელი სამხრეთის მხრიდან აქვს და ემიჯნება დასავლეთის კედელს. ხის კარები ჩაყინულია ნანგრევებში და დაახლოებით 40 სმ-ითაა ამოშვებული.

ყურადღებით შესწავლამ საშუალება მოგვცა გამოგვეთქვა ვარაუდი ქვედა სართულის არსებობის შესახებ. ეს ვარაუდი დასტურდება ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, რომელიც მონასტრის კლდეში ნაკვეთობაზე მიუთითებს, სხვა ნაგებობები უბრალოდ კლდის ირგვლივაა ნაშენი და არა კლდეში. ამრიგად, შეიძლება საქმე გვაქვს ორსართულიან ეკლესიასთან, რომლის დაახლოებით 4 მეტრის სიმაღლის კლდეში ნაკვეთი ქვედა სართული, ახლა ჩაქცეული და ამოვსებულია. ეკლესიის დასავლეთის კედლის ორივე სართული მშრალი წყობითაა ნაშენი.

საინტერესო მასალა მოგვცა კლდის აღმოსავლეთ მხარის დათვალიერებამ. აქ აღმოჩნდა გრანიტზე საგანგებოდ გასწორებული რამდენიმე დაფა. ამათგან ორზე გარკვევით შეიმჩნევა წარწერა — ერთ მათგანზე ჯერის გამოსახულებით. წარწერა ჯერჯერობით გაუშიფრავია. პალეოგრაფიული ნიშნებით იგი XI—XII საუკუნეებში უნდა იყოს შესრულებული (აზრი გამოთქვეს ა. შანიძემ, რ. პატარიძემ). სხვა დაფებს კლდის ხავისი ფენა ფარავს, შესაძლოა მათ ქვეშაც იმალებოდეს წარწერა.

მიკვლეული წარწერა პატარა ზომის ოთახის კუთვნილება უნდა ყოფილიყო, ე. ი. კლდეს აღმოსავლეთის მხრიდანაც ჰქონია მიშენებული ოთახი, ამაზე მიუთითებს წარწერების თავზე მდებარე სამკუთხედის ფორმის ღარი. როცა წარწერების ქვემოთ ლოდებისაგან ადგილის გასუფთავებას შეეცადავთ, აღმოჩნდა დაახლოებით 40 სმ-ის სისქის ნაცრისა და ნახშირის ფენა და მასში მცირე ზომის კერამიკული ნამსხვრევები.

ქვაზე ნაკვეთი წარწერებისა და ნიშნების ძიებისას, ეკლესიის პირველი



ჯვრის გამოსახულება გამოქვაბულში
არსებულ სტელის ნაწიზე.

Изображение креста в пещере.



სამონასტრო კომპლექსის მიდამოს
ტოპოგრაფიული სქემა.

Топографическая схема р-на мо-
настырского комплекса.

სართულის შესასვლელიან კლდეზე და ქვემოთ სათვალთვალო ნაგებობასთან ლოდზე. აღმოჩნდა ჯვრის მცირე ზომის ორი გამოსახულება.

აფსიდიან ნაგებობაში არის ქვის დიდი ზომის ვატეხილი ჯვარი, რომელიც კლდის მონოლითის თავზე იყო აღმართული, რაზედაც მიუთითებს კლდის წვერზე ღრუ. ჯვრის ნამსხვრევები და ის დღესაც, რომლითაც ჯვარი იყო ჩაკე-
რული. თვითონ ჯვარი ადგილობრივი ქვის არ უნდა იყოს, იგი თეთრი ფერის
ცოროვანი ქვია, რომლის ერთი მხარე მინერალური გაყვანილი. ამ მხარით
ჯვარი მიქცეული იყო დასავლეთისაკენ.

ექსპედიციამ იხატა გამოქვაბულიც, რომელშიაც ახლა მხოლოდ სტე-
ლის ბაზა დევს. მის მოსაზღვრე ორ მხარეზე განსხვავებული ფორმის ორი
ჯვარია გამოსახული.



ჯვრის გამოსახულება და წარწერა
კლდის აღმ. მხარეზე.

Изображение креста и надпись
на восточной стороне скалы.

გამოქვაბულებთან დაკავშირებით ზაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ვახუშტის „ქუაბნი“ მრავლობითში აქვს ნახმარი, სოლო რყინის ჯაჭვი ვად მოკიდებული იყო „ქუაბიდამ“ — ო, ე. ი. ძნელად მისასვლელი მხოლოდ ერთი ტვაბი იყო, დანარჩენებს კი დამხმარე მოწყობილობა ალბათ არ ესაჭიროებოდათ. ჯაჭვი ახლაც არსებობს, ის 5,5 მეტრის სიგრძისაა და ბოლო შეველ მონაკვეთზე ეკიდა, მაგრამ თვით ამ ღონაკვეთამდე მისვლა საკმაოდ რთულია. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სხვა გამოქვაბულებამდე მისასვლელიც რთული იყო. ექსპედიციამ ამჯერად ვერ აწარმოა სხვა გამოქვაბულების ძიება.

შესაძლოა საყურადღებო გამოდგეს თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობა, მისი „ივერიის ისტორიიდან“, ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ: ანდრია მოციქული „მუნით მოიქცა ქისტეთის გზით და მოვიდა ხევსა მთიულეთისასა ლომეკის მდინარესა ზედა (რომელსაც სახელს დებენ თერგად) და აღვიდა ძირსა საშინელისა მის კავკასიურისა მთისა, რომელსა ეწოდებეს მყინვარი, მაღალსა მთასა ზედა, სადა იგი არს ჩამოსწვრივ ძირი მისი, აღმართა მუნ ჯვარი, არს ადგილსა დაბა და ადგილსა მას სადა იგი ჯვარი აღმართა წმინდანმან ამან მოციქულმან აწ არს მას ზედა ეკლესია, დიდი მონასტერი წმიდისა მოციქულისა პირველ-მოწამისა სტეფანესი“.

უდავოა, რომ ბეთლემის სამონასტრო კომპლექსის მეცნიერული შესწავლა



ქვარი, რომელიც კედლის თავზე იყო აღმართული, ეკლესიის დასავლეთის კედლის ფონზე.

Крест на фоне западной стены церкви.

ქართული საეკლესიო მოძრაობისა და საქართველოს ისტორიის ბევრ საინტერესო ფურცელს გადაშლის.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: კარტოგრაფი — გელა გოგილაშვილი, ფილოლოგი — გიგა ხორნაული, კიბერნეტიკოსი — თეიმურაზ ახალკაცი, ფიზიკოსები — დევი თარხნიშვილი, იურა პაპაია, ვახტანგ ხმალაძე, რუსლან ახალაძე და პარმენ მარგველაშვილი.

მადლობა გვინდა გადავუხადოთ ყაზბეგის მკვიდრთ აღექსანდრე ქირიკაშვილს და ალიოშა ხუციშვილს ექსპედიციის დიდი მხარდაჭერისათვის.



ტანძია, საერთო ხედი.

Тандзия общин вид.

ელბენ თუმანოვილი

წმ. ნიკოლოზის ეკლესია სოფელ ტანძიაში.

სოფ. ტანძია ბოლნისიდან ათიოდე კმ-ითაა დაშორებული. სოფლიდან მიმავალი ვიწრო ხვეული გზა ბუჩქნარებით დაფარულ ფერდობზე მდგარ ორფერდა სახურავით გადახურულ კოხტა ეკლესიას ადგება. თლილი, მოყვითალო ქვით ნაგებ შენობას აქა-იქ მუქი ნარინჯისფერი გადაპკრავს, შუაში კი ალაგ-ალაგ ვარდისფერგარეული შინდისფერი ქვის ორი ზოლი მიყვება, რომელიც მომწვანო-ჩალისფერ გარემოში მკვეთრ ფერადოვან კონტრასტს ქმნის და ეკლესია წამსვე იქცევა მნახველის ყურადღებას.

ტანძიაში ძველ ნაგებობათა არსებობას ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებდა. მათზე უფრო დაწვრილებით ცნობებს ე. თაყაიშვილი იძლევა. ამ ნაგებობათაგან დღემდე ორმა ეკლესიამ მოადწია. ჩვენი ყურადღება ერთერთმა მათგანმა, წმ. ნიკოლოზის ეკლესიამ მიიქცია. ე. თაყაიშვილი წიგნში „სომხთ — საორბელოს ძეგლების წარწერები“ ამბობს, რომ: „ეს პატარა, მაგრამ ფრიად კვლეუცი ეკლესია აუშენებია 1683 წელს მდივანბეგ ორბელიანს, ყაფლანის ძეს, წმიდის ნიკოლოზის სახელზედ.“¹



დაბალ, ერთსაფეხურიან ცოკოლზე შედგმული ეკლესია დარბაზულია. მისი რედაქციონიდან სწორკუთხა მოცულობა სწორკუთხავე სათავსოსა და ნახევარწრიულ აბსიდს მოიცავს.


ეკლესიის შიგა პირი აგურისა და ქვის რიგებითა აგებული: საკურთხევლის კონქი და კამარა აგურისაა, ხოლო აბსიდის ორი კედლის შვერილი და მათზე გადაყვანილი სატროუმფო თალი თლილი ქვის კვადრებით არის ამოყვანილი.

გვემის მარტივი კომპოზიციით შექმნილი ასეთივე მარტივი შიდა სივრცე გარკვევით და სრულად აღიქმება ერთ მთლიანობაში. ვიწრო ზეაზიდული სივრცე საკურთხევლის სარკმლისა და სამხრეთის კედელზე გაჭრილი ორი სარკმლის საშუალებით საკამარისადა ნათდება. ეკლესიის ერთი შესასვლელი დასავლეთის კედელშია დატანებული, ხოლო მეორე სამხრეთით, ორ სარკმელს შუაა გაჭრილი. საკურთხევლის ორსავე მხარეს საშუალო სიღრმის თითო ნიშაა განლაგებული. თანაბრად განათებული ინტერიერის ელემენტთა კომპოზიცია აშკარად გამოხატული აქცენტებით (ორი კარი, სამი სარკმელი) მეტად უსვამს ხაზს ასეთსავე მკაფიოდ მოწესრიგებულ შიდა სივრცეს.

ეკლესიას მისაღვამი ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან აქვს. მიხლოებისთანავე თვალწინ თლილი ქვით მოპირკეთებული დასავლეთის ფსაადი აღიმართება, მასზე მკაფიოდ დასმული ორი მნიშვნელოვანი აქცენტი: კედლის შუაში მოთავსებული განიერი პორტალით და მის ცენტრში დაშვებული ვიწრო წაგრძელებული ჯვრით, რომელიც თითქმის ებჯინება კარნიზის წვერს. ჯვარი წყვილი ლილვისაგან შედგება, რომლებიც ბოლოში იმიჯნებიან და ყვავილისებურ სამყურა დაბოლოებებს ქმნიან, ჯვრისა და პორტალის შემაერთებელი ტარის (რომელიც ჯვრის მკლავთა ზუსტ განმეორებას წარმოადგენს) სამყურა დაბოლოება პორტალის ჩარჩოთი შუაზეა გადაკვეთილი, რითაც ერთგვარი დაუსრულებლობის, შემთხვევითობის განცდა იბადება. ამასთანავე, კედელთან და განიერ პორტალთან შედარებით წაგრძელებული ჯვარი მსუბუქდება და თითქოს წინაღობას კარგავს.

ამას გარდა, ფსაადის მორთულობას შეადგენს: ჯვრის ზედა მკლავის სიმეტრიულად განლაგებული ლომის თითო პატარა რელიეფური გამოსახულება და ლარნაკისებრი მოყვანილობის დაბოლოებანი. ისინი პორტალის ჩარჩოზე, კარის ღიბზე და კედლის კუთხეებზე დაყოლებულ სადა ლილვებს ამთავრებენ. ფსაადის შემამკობელი ელემენტები, მცირე ზომის გამო, კედელზე მსუბუქ, დეკორაციულ აქცენტებად იკითხება.

ეკლესიის აღმოსავლეთის ფსაადს საკურთხევლის სარკმელი და მასზე კარნიზის თითქმის წვეროდან დაშვებული ჯვარი ამკობს. კომპოზიციური აგება და ჯვრის ფორმა დასავლეთ ფსაადის ზუსტ განმეორებას წარმოადგენს. სხვაობა მხოლოდ იმაშია, რომ ჯვრისა და სარკმლის შემაერთებელი ტარი კი არ ეყრდნობა რასმე, არამედ უშუალოდ სარკმლის თაღთან საპირეში გადადის. სარკმლის საპირე თითქოს ჩამოკიდებულია ჯვარზე, რის გამოც ერთგვარი არამდგრადობის თუ შემთხვევითობის შთაბეჭდილება კიდევ უფრო ძლიერდება. ჯვრის პირიზონტალური მკლავის გარდვიგარდმო, ზემოთ მოთავსებულია არწივის და ქერუბიმის, ქვემოთ კი ლომის ორი გამოსახულება. მსგავსად დასავლეთის ფსაადისა, ეს რელიეფებიც მცირე ზომისანი არიან, რის გამოც მსუბუქად დასმულ დეკორაციულ აქცენტებად აღიქმებიან მხოლოდ. ამდენად, რელიეფების მცირე ზომებმა სიმბოლური ტანდაკებების შინაარსობრივი მხარე რამდენადმე უკანა პლანზე გადაიტანა. ერთმანეთს თითქოს უპირისპირდება ერთი მხრივ მყიფე, უწინადო ჯვრები და რელიეფები, ხოლო მეორე მხრივ მასიური პორტალი და სარკმ-



ტანძია, გეგმა.

Тандзия план.



ტანძია, დასავლეთის ფასადი.

Тандзия Зап. фасад.

ლის საპირეები, რაც ძირითადად ჰქმნის ძველის მხატვრულ სახეს და მნიშვნელოვან მომენტად გვევლინება მის აღქმაში.

ამ ორ, კომპოზიციური და მხატვრული მიდგომით მსგავს, ფასადს მკვეთრად უპირისპირდება ცკლესიის სამშრეთის ფასადი, თავისი მოულოდნელი კომპოზიციური აგებით: კედლის უკიდურეს მარცხენა ნაწილში მოქცეული კარისა და მის ზემოთ არათანაბარი მანძილით დაშორებული ორი სარკმლისაგან შექმნილი კომპოზიცია ფასადის ცენტრალური ღერძიდან მკვეთრადაა გადაწეული და მას თითქოს საყრდენი წერტილი აქვს გამოცლილი. ამასთანავე ორი სარკმლითა და მათ ქვევით გაჭრილი კარით შექმნილი „აყირაგებული“ სამკუთხედი წაშვე არღვევს ფასადის კორიზონტალურად დანაწევრებულ ზედაპირს და კომპოზიცია, ამის გამო, ძალზე არამდგრადი, მერყევი ხდება. კარის მუზარადისებურად შეისრულ ტიმპანზე ასომთავრული წარწერაა ამოკვეთილი: წმ. ნიკოლოზ, მეოხ ექმენ პატრონს ორბელს“.

ჩრდილოეთის ფასადი სრულიად მოურთავია, რითაც გამოირჩევა ცკლესიის დანარჩენი ფასადებისაგან, მაგრამ ფასადთა განსხვავებული მხატვრულ-კომპოზიციური ნახატის მიუხედავად, ხუროთმოძღვარი ნაგებობას მხატვრულად გააზრებულ ერთიან ორგანიზმად წარმოგვიდგენს, რასაც ძირითადად ორი შინდისფერი სარტყლის მემკობით აღწევს. ისინი გარს შემოუყვებიან რა მთელს შენობას, ოთხივე ფასადს მთლიანობაში ჰკრავენ. ამდენად, სარტყლები, გარდა თავისთავადი ფუნქციონისა და ტიპირთისა, ფასადთა გაერთიანების კომპოზიციურ ფუნქციასაც ასრულებენ.

ტანძის ცკლესია, მსგავსად დანარჩენი დარბაზული ცკლესიებისა, რომელთა ტიპოლოგიური ფენომენი საუკუნეთა განმავლობაში უცვლელია, გვემის კომპოზიციის მხრივ რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებას არ ავლენს. ამიტომ ძველის მხატვრული დახასიათებისას ყურადღება შენობის გარე მასების, მათი დეკორაციული გაფორმების თავისებურების გამოვლენას მიექცა.

დარბაზულ ცკლესიათა ფასადების მხატვრული გაფორმება ყოველი ეპოქისათვის დამახასიათებელი სტილისტიკური ნიშნებით მკვეთრად განირჩევა ერთიმეორისაგან: მაგ. ხაჯანის წმ. გიორგის ცკლესიაში გამოვლენილია XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი თაღდის სისტემა, კარ-სარკმლის საპირეები უზგადაა მოჩუქურთმებული და სხვ. მომდევნო საუკუნეების ძეგლებში ასევე მკაფიოდ აისახა ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი შემდგომი სტილისტიკური ეტაპი. მაგ. XIV საუკუნის დაბის ცკლესიის ფასადებს დეკორაციული თაღდ აღარ აქვს, კარ-სარკმელთა ფართო საპირეების ჩუქურთმა XI-XII საუკუნეთა დეკორის პლასტიკურობასთან შედარებით სიმრტყობრივ-ხაზობრივი გახდა. ტანძის ცკლესია ამ გვიანი არქიტექტურისაკენ უფრო ირენს ტენდენციას, მაგრამ, ამავე დროს, მასთან გარკვეულ სტილისტიკურ დაშორებასაც ამჟღავნებს. ასე მაგ., ძველის მხატვრული სახის აღქმაში წამყვან მომენტად გვევლინება ის სიმშრალე და ერთგვარი ხაზობრიობა, რაც ძირითადად განაპირობა კარისა თუ სარკმლების ერთნაირად სადა, შეუმკობელმა ზედაპირმა, ასეთივე მოჩუქურთმებელმა ლილეებმა, რომლებიც სრულიად განურჩევლად კომპოზიციის მთავარ კომპონენტს — ჯვარსაც ჰქმნის და, ამავე დროს, შედარებით მფორეხარისხოვან სადა საპირეებსა და კედლის კუთხეებს დაუყვება. ამავე განცდას აძლიერებს კარ-სარკმელთა და ჯვრების გამოკვეთილობა და მათი მკაფიო განთავსება კედლის ზედაპირზე, სადაც ყოველი ფორმა სადა ჩარჩოთი მოისაზღვრება. ნაჭედ ფორმათა და კუთხოვან ხაზთა სიჭარბე ფასადებს ადრეული ხანის ძეგლებთან შედარებით (კერძოდ დაბის ცკლესიასთან) ხაზგასმით გრაფიკულ, მშრალ იერს ანი-



ტანშია. რელიეფები.

Тбилизи - Рельефи.

ტანშია. წარწერა.



Тбилизи. Надпись

ტებს და სწორედ ეს გვესახება იმ უმთავრეს მომენტად, რაც ჩვენს ძველს სტილისტიკურად გვიან ფეოდალური ხანის ძეგლებთან აახლოებს.

ტანშიის ეკლესია რომ გვიანი ხანის ძეგლია, ამას მოწმობს ის ცვლილებაც, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში განიცადა ჯვრის და სარკმლის მოტივმა ფასადზე. XI-XII საუკუნეებიდან მოყოლებული ჯვარ-სარკმლის კომპოზიცია, ფასადთან ერთ მთლიანობაში გააზრებული, თანდათან კარგავს ამ მთლიანობას. იცვლება მისი გარეგნული სახეც: მნიშვნელოვნად გაბრტყელებული და დაგრძელებული, იგი კედელზე დაკრულის შთაბეჭდილებას ტოვებს (ფიტარეთი, წულრულაშენი). საუკუნეთა მანძილზე ჯვარ-სარკმლის კომპოზიცია, ისევე როგორც მისი გარეგნული სახე, ამ მიმართულებით სულ უფრო განიცდის ცვლილებას. XIII-XIV საუკუნეთა სამცხის უგუმბათო ეკლესიებში არა მარტო ჯვარ-სარკმლის კომპოზიციის კავშირია ფასადის მთლიანობასთან გაწყვეტილი, არამედ კარნიზის წვეროში გადაადგილებული ჯვარიც სრულიად მოწყვეტილია მის ქვევით მდებარე სარკმელს. ჯვარი, როგორც წესი, ბრტყელია და თითქოს ზემოდანაა დადებული კედელზე. აქვე გვეხდება სრულიად შეუმკობე-

ლი, სადა ლილემოყოლებული ჯვრებიც (წყორსა, გავეთი). გვიან ფეოდალურ ხანაში იგივე კომპოზიციის შემოგანხილულის სხვადასხვა ვარიაციას წარმოადგენს, მხოლოდ წინა ხანასთან გაცილებით უხეში და სქემატური გახდა ჯვრის ფორმა, ასევე გაუხეშდა სარკმლის საპირის ჩუქურთმაც (საგარეჯოს პეტრე-პავლეს ეკლესია XVII-XVIII სს. მიჯნისა). ზემოაღნიშნულის მიხედვით, ტანძრის აღმოსავლეთ ფასადის კომპოზიციის, როგორც სტრუქტურით, ასევე გარეგნული ნიშნებით, სწორედ გვიან ხანას მიეკუთვნება. ასევე გვიანი ხანისათვის არის დამახასიათებელი სარკმლის საპირეში გადახული ჯვრის ამგვარი გადახმა და ჯვრისა და სარკმლის შემაერთებელი ტარის ფუნქციური უკულებელოფა.

ტანძრის ჯვრების ანალოგიურს, იმგვარივე სამყურა დაბოლოებებით, XIII-XIV სს. მიჯნის გავეთის აღმოსავლეთ ფასადზე ვხვდებით. ისეთ ელემენტს, როგორცაა სამხრეთის კარის ტიპისა და საპირეებისათვის გამოყენებული მუხარადისებურად შეისრული ფორმა. შეისრული მოხაზულობის ფორმები განსაკუთრებით გვიან ფეოდალური ხანის ძეგლებში იქნენ თავს და შენობის ფასადისა თუ ინტერიერის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტად იქცევა (ანანურის 1689 წ. მიძინებისა და 1674 წ. ღვთაების ეკლესიები, საგარეჯოს პეტრე-პავლე, 1680 წლით დათარიღებული ტანძრის მეორე, ღვთისმშობლის ეკლესია და სხვ.) როგორც ვხედავთ, შეისრული ფორმა გვიან ფეოდალური ხანის ძეგლებისათვის უკვე დამახასიათებელი ხდება.

ანანურის, პეტრე-პავლეს და ტანძრის ეკლესიებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე მცირე ზომის ლარნაკისებრი დაბოლოებების გამოყენება, რომლებიც უფრო ადრეული ხანის ძეგლებში არ გვხვდება, სარკმელთა სადა საპირეები, პორტალის მოურჩქურთმებელი ჩარჩოები, შენობის ხაზგასმულად მშრალი, გრაფიკული იერი და სხვ. ყოველივე ეს ამ ეკლესიებს ერთ სტილისტიკურ ჯგუფში აერთიანებს, რომელიც ქრონოლოგიურად XVII-XVIII სს. მიჯნით იხაზვრება.

ტანძრის ეკლესიის აგების დროისთვისაა დამახასიათებელი აგრეთვე ფასადების რელიეფებიც, რომელთა შორის, ამ პერიოდის სხვა ძეგლების მსგავსად, ძველ მოტივთა რემინისცენციებს აქვს ადგილი. ამის საბუთია ეკლესიის დასავლეთ ფასადზე გამოსახული „მცველი“ ლომები, რომლებიც გვხვდება ანანურის დიდი ტაძრის სამხრეთის ფასადზე. პეტრე-პავლეს აღმოსავლეთ ფასადზე, ქოლაგირის ციხის მთავარ შესასვლელზე და სხვ. ტანძრის აღმოსავლეთ ფასადზე ლომების თავზე არწივის და ქერუბიმის გამოსახულებანია. ე. თაყაიშვილი, ძველის აღწერისას, მათ მახარებელთა სიმბოლურ გამოსახულებად მიიჩნევს. ეს მოხაზება შესაძლოა მართებულიადაც ჩავეთვალა, მაგრამ ქერუბიმისა და მეორე ლომის არაებობა ამის მტიციების საშუალებას აღარ იძლევა: გვიან შუა საუკუნეებში დადგენილ იკონოგრაფიას ზუსტად აღარ მისდევნ, უმეტესწილად ცალკეულ მოტივთა ამოკრებით კმაყოფილდებიან, რაც თავისთავად კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი ძველი გვიან ფეოდალურ ხანაშია აგებული. ყველა აღნიშნულ რელიეფს ისეთი დამახასიათებელი ნიშანი აქვს, რაც მათ გვიან ფეოდალურ ხანას აკუთვნებს და სტილისტიკურად ანანურისა და პეტრე-პავლეს რელიეფების ჯგუფში აერთიანებს: მკვეთრი, ტუბილი ხაზებით მოსაზღვრული სხეულები კედელზე დაკრულის შთაბეჭდილებას სტოვებს. ფიგურათა ბრტყელი, პლასტიკურობის მოკლებული ზედაპირი ზოგჯერ სრულიად სადადაა დატოვებული და ჩაქრილი ხაზებით მხოლოდ ცალკეული დეტალებია აღნიშნული (მაგ. ლომის თათები), მამინ როდესაც ქერუბიმისა და არწივის სხეულები ხშირი ურთიერთგადამკვეთი ღარებითა და ფარული და ეს შედამეტად გამოვლენილი ხაზობრიობა თავის მხრივ მეტად უხვამს



ხაზს შენობის გრაფიკულ იერს. ამგვარად, ძველის რელიეფური გამოსახულებების მხატვრული სახითა თუ შესრულების დონით გვიანი ხანისათვისაა დამახასიათებელი.

ტანძის ეს შენობა საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი ფეოდალების — ორბელიანთა კარის ეკლესიას წარმოადგენს. კერძოდ, იგი ყაფლან ორბელიშვილის (რომელმაც ორბელიანთა სათავადოს შექმნას ჩაუყარა საფუძველი) ერთ-ერთ ძეს — ვახტანგ ორბელს ეკუთვნის, რომელიც სოფელ ტანძიას დამკვიდრებულა და იქვე ხალოცავად ეს პატარა ეკლესია აუშენებია¹.

ამდენად, ტანძის განხილული ძეგლი თავისი დროის დამახასიათებელ და ეპოქის პირობაზე საკმაოდ მაღალი ღირსების ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს. ეკლესიის შემკობის წესი, ხეროთმოდგრის მიერ გამოყენებული ელემენტები, მათი შესრულების დონე იმავე ხანას მიუთითებს, რომელიც ე. თაყაიშვილმა წერილობითი წყაროებით დაადგინა, ე. ი. ეკლესიის აგების თარიღად 1683 წელი უნდა მივიღოთ.

¹ ე. თაყაიშვილი. სომხით—საორბელის ძეგლების წარწერები. ნაწ. 1, პარიზი, 1929, გვ. 93.

² Г. Н. Чубинашвили и Н. П. Северов. Пути Грузинской архитектуры. Тб., 1936, стр. 13-4.

³ Р. Шмерлинг. К характеристике стилистического различия двух сходных памятников разных эпох XI—XVII вв. Сообщ. АН. ГССР. т. III, 1942, стр. 617.

⁴ იმ. გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. (სომხით—საბარათანოს სათავადოები) თბ., 1955.

ციხე-ქალაქი შორაპანი

ზესტაფონის რაიონის ტერიტორიაზე ქალაქიდან სამი კილომეტრის მოშორებით (აღმოსავლეთით) მდებარეობს ანტიკური ხანის ციხე-ქალაქი შორაპანი, რომლის შესახებ ვახუშტი წერს „ყვირილასა და ძირულას შორის შესართავს შინა არს შორაპანი, რომელიც ალაშენა მეფემან ფარნაოზ, ქალაქი და ციხე და ყო საერისთავოდ და არს დიდშენობა ფრიადი, ამას ჩრდილოთ-დასავლეთი უღის: ყვირილა, აღმოსავლით-სამხრით ძირულა. აღმოსავალ-ჩრდილოთ შუა აქუს კლდე — გორა მცირე და გვირაბი დადი, ჩასული წყლამდე, ეს შესესვრილი აღაშენა გიორგი აბაშიძემ“. (ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 154).

როგორც ვხედავთ, ფარნაოზ მეფეს (202--237 წ. წ. ერამდე) ციხე-ქალაქი უშენებია და ქვეყანა საერისთავებად დაუყვია.

შორაპანი, ანტიკური ხანის ციხე-ქალაქი კოლხეთისა და იბერიის საზღვარზე მდებარეობდა. სტრაბონი აღნიშნავს, რომ მდინარე ფასიდი (დღევანდელი ყვირილა) ჩქარა დას და არ არის სანაოსნო, ვიდრე შევიდოდეს კოლხიდაში.

შორაპანიდან რომ სამდინარო გზა ნამდვილად მდ. ყვირილათი იწყებოდა დაადასტურა 1970 წელს აქ რკინიგზის ახალი ხიდის მშენებლობამ. აქ, ძველი ხიდის ქვეშ მდინარის მარცხენა სანაპიროზე აღმოჩნდა ნაემისადგომი 60 კვადრატული მეტრი ფართობით (ნაემისადგომი მეცნიერულად შესწავლულია).

შორაპანის ციხე ნაწილობრივ შესწავლილია (გ. ცქიტიშვილის მიერ) და დადგენილია, რომ ადრეფეოდალური ხანისათვის იგი ორი ნაწილისაგან შედგებოდა — ზედა ციხის (აკროპოლისი) და ქვედა ციხისაგან. ზედა ციხე მაღალ კლდოვან ბორცვზეა აგებული, სადაც აღმოჩნდა მარცვლეულის შესახები რამოდენიმე ორმო და ჭური. ქვედა ციხის დასავლეთი კედელი არ ჩანს, შესაძლებელია, ციხის ეს ნაწილი XIX საუკუნის 70-იან წლებში აქ გაყვანილმა ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობამ შეიწირა.

ციხე-ქალაქის ფართობი 6000 კვ. მ აღემატება, მდებარეობს ზღვის დონიდან 100 მეტრის სიმაღლეზე. ზედა ციხის ვათხრების შედეგად გამოირკვა, რომ ციხის კედლების ქვისა და აგურის მონაცვლეობითი წყობა VI საუკუნეს მიეკუთვნება. ამავე საუკუნეს მიეკუთვნება ციხიდან მდ. ყვირილაში ჩამავალი გვირაბი, რომელიც გვიანფეოდალურ ხანაში აღდგენილი, ისიც გაირკვა, რომ ციხე სასმელი წყლით მარაგდებოდა ორი სხვადასხვა დიამეტრის მქონე თხის წყალსადენით.

ციხის დაცული ნანგრევები შეიცავენ სხვადასხვა ხანის ნაგებობებს. (განსაკუთრებით ყურადღებას იმპრობს სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლის ძირა ნაწილი ორჭ მეტრის სიმაღლეზე). ეს ნაწილი აგებულია ოთხკუთხა თლილი ქვისაგან, რომელსაც შუაში დატანებული აქვს აგურის ზოლი. ასეთი ნაგებობა დამახასიათებელია იმპერიის პერიოდის რომაული და შემდეგ IV—VI საუკუნეებში ბიზანტიური არქიტექტურისათვის შორაპანის ციხეში გვხვდება ამავე ხანის სხვა ციხეებისთვისაც დამახასიათებელი გვირაბი, რომელიც ცულადაა შე-



ზონახული. იწყება დასავლეთის კედელთან და მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთით მდინარე ყვირილსაკენ და ჩადის მის სანაპირომდე (სიგრძე 60 მეტრი), სადაც აშენებულია რიყის ქვისა და კირქვისაგან ოთხკუთხედი კოშკი.


ციხეს ჰქონია ორი კარი: ერთი ჩრდილო-აღმოსავლეთით, მეორე კი — დასავლეთით, სადაც ამჟამად ძველი თალივანი ხიდის ბურჯია შემორჩენილი და რომლითაც მდინარის მარცხენა მხარე უკავშირდებოდა მარჯვენას (ხიდი შესწავლილია პროფესორ დ. მშენიერაძის მეერ).

სტრაბონის ცნობით, რომ შორაპანთან თავდება სანაოსნო გზა და აქედან მდინარე მტკვარამდე გადაჰქონდათ სახმელეთო გზით საქონელი, მტკიცდება, რომ შორაპანი ყოფილა ციხე-ქალაქი. რადგან ისეთი პუნქტი, სადაც სანაოსნო გზა მთავრდება და სახმელეთო იწყება ვაჭრებსა და მგზავრებს უნდა უზრუნველყოფდეს სასტუმროებით, გადასახიდი ღრანსპორტით (ურმებითა და გამწევი ძალით). აქვე უნდა ყოფილიყო ნავმისადგომი და საბაჟო, ხოლო მდინარე მტკვარზე ზემო სანაოსნო ნავმისადგომი იქნებოდა ხუნანი, ანუ მტკვრის ციხე შორაპან-ხუნანს შორის ტვირთგადაზიდვას ემსახურებოდა სახმელეთო ტრანსპორტი. ინტენსიური ვაჭრობის, რომელიც გაჩაღებული იყო (ძვ. წ. VI საუკუნეში) ბერძნებსა და კოლხებს შორის, ვაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად კოლხეთის მეფეები ჰრიდნენ ვერცხლის ფულს, რომელიც ცნობილია კოლხური თეთრის სახელწოდებით (ფული დაცულია ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში). როცა შორაპანი გადაიქცა ევროპასა და აზიას შორის სავაჭრო დამაკავშირებელ რგოლად, ქართლის სამეფოს დედაქალაქ მცხეთაზე გამავალი მსოფლიო სავაჭრო გზებიდან უმთავრესი გზა ინდოეთიდან კასპიის ზღვით, მდ. მტკვრითა და ლიხის უღელტეხილით შორაპანში ჩადიოდა, აქედან კი მდინარე ფაზისით ქ. ფაზისში, საიდანაც აღმოსავლური საქონელი დასავლეთის ქვეყნებში მიჰქონდათ.

შორი ქვეყნებიდან წამოსულ ვაჭრებს ყოველგვარი პირობა ესაჭიროებოდათ ნორმალური მგზავრობისა და დასვენებისათვის, რის გამოც შორაპანში უნდა ყოფილიყო დამკვეთი რაზმები (რადგან სავაჭრო გზით მტკვრისაკე შეეძლო მოსვლა და მოყვარესაც), სასტუმრო-ქარვასლები, სურსათი. აქვე უნდა ყოფილიყო სამშენებლოები და სახელოსნოები დაზიანებული ტრანსპორტის შესაკეთებლად; უნდა ყოფილიყო ბაზარი, რადგან ვაჭრების პირველი ხელისდამცელები შორაპნის მოსაწოდება იქნებოდა. აქვე უნდა გაესაღებინათ ადგილობრივ ხელოსნებს და ახლომხლო სოფელებს თავიანთი პროდუქტი, ყოველივე ეს შორაპანში ინტენსიურ საქალაქო ცხოვრებაზე მიგვითითებს. აქედან ვამომდინარე, შემთხვევითი არ უნდა იყოს შორაპნის მახლობელი სოფლების სახელწოდება — საღვინე და სანახშირე, რომლებიც კარგი ღვინითა და მუხის ნახშირით ამარაგებდნენ ციხე-ქალაქის სამშენებლო სახელოსნოებს.

შორაპნის მთელი ნაწევარქუნილი, რომლის ტერიტორია ერთ დროს ვალავანით ყოფილა შემოზღუდული რასაც მოწმობს ამ ადგილებში დაზვერთვითი სამუშაოების დროს ნაპოვნი ალიზის კედლის ფრაგმენტები და სუსტად გამომწვარი აგურის ნამტკრევეები მთელი ეს ფართობი (25 ჰა) ციხის გამოკლებით ქალაქის დასახლება უნდა ყოფილიყო.

შორაპნის ციხეს სამი მხრიდან ჩამოუღდის მდინარეები ძირულა და ყვირილა, რომელთა სანაპიროზე აღმართული ცივაბო კლდეები ციხეს მიუვალს



ანტიკური ხანის შორაპნის ციხე-ქალაქის ნანგრევები მდ. ყვირილას მარცხენა სანაპიროზე (აღმოჩენილი 1970 წ.).

Город-крепость Шорапани. Причал у левого берега р. Квирила.

ხლიდა, ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ხმელეთს კარით უკავშირდებოდა. აქ თავს იყრიადა ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში აღმოსავლეთის სამი გზა: პირველი, სურამიდან მომავალი, მეორე საჩხერიდან, მესამე კი სამხრეთიდან შემოდიოდა.

ასევე შორაპანში სამი გზა შემოდიოდა დასავლეთიდან: ერთი სამღინარო და ორი სახმელეთო. სამღინარო გზა იწყებოდა შავი ზღვიდან და მღინარე რიონითა და ყვირილათი შემოდიოდა. სახმელეთო გზა იწყებოდა ქუთაისიდან, გამოივლიდა ჩხარს, სკანდას, „თამარის ხიდს“ მღინარე ჩოლაბურზე და მღინარე ყვირილას თაღოვანა ხილით შედიოდა შორაპანში.

მეორე სახმელეთო გზა, როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, შორაპანში შემოდიოდა ვალმა მხრიდან (ნაგულისხმევი მღინარე ყვირილას მარცხენა ნხარე) შორაპნიდან, რიონის ნაპირით მიემართებოდა შავი ზღვისაკენ, როგორც ვხედავთ შორაპანი წარმოადგენდა საღაჭრო ურთიერთობის სტრატეგიულ პუნქტს, სადაც თავს იყრიადა იბერია — კოლხეთს შორის დამაკავშირებელი შიგა საეკპრო და მსოფლიო მნიშვნელობის გზები. ასეთმა ბუნებრივ-გეოგრაფიულმა გარემომ განაპირობა ანტიკურ ხანაში შორაპნის ციხე-ქალაქის წარმოშობა.

ვახუშტი აღნიშნავს, რომ როცა ფარნაოზმა ქვეყანა დაპყრო საერისთაოებად „მეორე ერისთავი დასვა შორგვეთისა (არგვეთისა) შორაპანს და მისცა მცირე ლიხიდან, ვიდრე ზღვამდე დადოს მთასა რიონის შუაითი“. ისტორიულად ცნობილია, რომ ბუხმიპრ პიტიახშის (ერისთავის) სამარხი ბორშია აღმოჩენი-

ლი, ბორი კი ლომსიანთ-ხევში მდებარეობს, რომელიც იწყება დადგნა და დასრულება და ვრცელდება სეირამდე. ამრიგად ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს ლომსიანთ ხევის საერისთაოს ცენტრი იყო შორაპანი. ბუზმიპრ პიტიასში კი ფარსმან მეორის ერისთავია ამ ერისთავის ერთ-ერთი რეზიდენცია და საგვარეულო სამარხავი ლომსიანთ-ხევის სოფელ ბორში არსებობდა და შორაპნის ერისთავების გვარიც წარმოშობით ბორიდანაა.

ისტორიული წყაროებით მტკიცდება, რომ მეფე ფარნაოზმა არა მარტო ქართლი დაპყრო სამხედრო ერთეულებად (საერისთაოებად) არამედ სამეფო მიწაც დაპყრო საათასისთაოებად: საიდანაც შემოდიოდა ხარკი, აქედან გამომდინარე ათასისთავი სამოქალაქო რიგის მოხელედ ითვლებოდა, მაგრამ მას სამხედრო საქმეც ეკითხებოდა, ალბათ საათასისთაოებიდან მოლაშქრეების გამოყვანა და მისი მეთაურობაც კი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ სამხედრო თათბირზე ათასისთავებიც მონაწილეობდნენ.

ლეონტი მროველის გადმოცემაში. ერისთავის შემდეგ პირველი რანგის ხელისუფალი სპასალარია, შემდეგ ათასისთავი.

გ. ლომთათიძე კლდეეთლებს აღმოჩენილი იარაღის სიმრავლისა და მრავალფეროვნების გამო მხედართმთავრებად მიიჩნევს. სპასალარი რომ საჯარო ხელისუფალი იყო და ქალაქში იჯდა, ეს იქიდან ჩანს, რომ ვახტანგი (გორგასალი) აღსაზრდელად შიდა ქართლის ერისთავმა და სამეფოს სპასპეტმა წაიყვანა, „მოითხოვა... საზრდოდ სპასალარმან კასპისამან და მისცა იგი მეფემან, და წაიყვანა იგი ქალაქად კასპისა და იზრდებოდა მუნ“. სხვა ცნობებიდან ისიც ჩანს, რომ აქ სპასალარი ციხისთავადაც შეიძლება გაევიგოთ. თუ ლეონტის მიხედვით ვიმსჯელებთ სპასალარი ერისთავის დაქვემდებარებული მოხელეა, ასევე შემდგომი რიგის მოხელეა ციხისთავი. ყოველივე ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ შორაპნის საერისთაოს ეკონომიურ და ადმინისტრაციულ ცენტრში, შორაპანში სპასალარი ან ციხისთავი იჯდა, რომელსაც ნტკვერის ხეობამდე ე. ი. მეორე სატრანზიტო პუნქტამდე, ვაჭრების დაცვა, თუ აზის ჩვენება ევალებოდა.

როგორც ვხედავთ მეფე ფარნაოზი გვევლინება როგორც სახელმწიფო ორგანიზაციის მესვეური, მაგრამ მას ერთი ზელის დაკვრით არ შეეძლო მოესპო რეპუტირი საზოგადოებრივი არისტოკრატიის პრივილეგიები.

ფარნაოზის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა მისი მემკვიდრე საურმაგი. კლასობრივი ბრძოლის შემდეგ ერისთავებმა მიიღწიეს თავიანთი უფლებების მემკვიდრეობით გადაცემას (მანამდე კი ერისთავებს — მეფე ნიშნავდა) რაც ფეოდალური საზოგადოების გამარჯვებას ნიშნავდა.

ქვეყნის ფეოდალიზაციის დროს მიწათმოქმედება დაჩა ძირითად სამეურნეო დარგად. ახალ ვითარებაში, როგორც ჩანს, შორაპნის საერისთაო მოშალა და მის ადგილზე აღმოცენდა ახალი ადმინისტრაციული ერთეული საფეოდალო ლომსიანთ-ხევი სოფელ კლდეეთში.

XVII საუკუნის დამდეგს არგვეთის სადროშოს ფარგლებში ჩამოყალიბდა ორი ძლიერი სათავადო-საბანაშიჩო და საწერეთლო, აღმუშავდნენ სამხედრო და ადმინისტრაციული უფლებები. ისინი თავიანთ სათავადოებს მოხელთა საშუალებით მართავდნენ. ზემო იმერეთის სამხრეთი ნაწილი, როგორც ვახუშტი გადმოგვცემს „პყრობითა თავადთა ჩხეიძეთაგან ისახელა“, მაგრამ



სახეიძეო არასოდეს ჩამოყალიბებულა ისეთ ძლიერ, სრულყოფილ სახელმწიფოში, როგორც საწერეთლო და სააბაშიქო.

XVII საუკუნის ბოლოს დასავლეთ საქართველო ფეოდალურმა ანარქიამ მოიცვა. ოსმალების გავლენა სულ უფრო ძლიერდებოდა, სამეფო ზელისუფლება სუსტდებოდა, მათი ადგილ-მამულები და ციხე-სიმაგრეები ფეოდალებს ჰქონდათ მითვისებული. არგვეთის უძლიერესმა თავადებმა აბაშიძეებმა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში რამდენჯერმე გააფხვინეს კი მოახერხეს.

1752 წელს იმერეთის სამეფო ტახტზე 18 წლის სოლომონ პირველი ავიდა. თავისი მეფობა ახალგაზრდა სოლომონმა ტყვეთა ყიდვისა და მამამდიანობის გავრცელებას წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო, რის გამოც ოსმალებმა ჰაბუკე მეფის დასჯა გადაწყვიტეს. დასავლეთ საქართველოს ფეოდალური ნაწილის პროგრესული საზოგადოება მეფე სოლომონ პირველის ირგვლივ დაირაზნა, ზემო იმერეთიდან მეფეს დიდ დახმარებას უწყევდა წერეთლების საგვარეულო, რომლიდანაც მეფეს ძლიერი სამხედრო რაზმი მოსდიოდა: სულ სხვანაირად მოიქცა სამშობლოს მოღალატე, ზემო იმერეთის უძლიერესი თავადი ლევან აბაშიძე, რომელიც ახალციხის ფაშას ეახლა და იქიდან ოსმალებს სოლომონისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ წამოუძღვა.

1757 წლის დეკემბერში ოსმალთა დიდი ჯარი იმერეთში შემოვიდა. სოლომონმა ხრესილის მინდორზე სასტიკად დაამარცხა მტერი, ხოლო სამშობლოს მოღალატე ლევან აბაშიძე ამ ომში დაიღუპა. ხრესილის ომის შემდეგ სოლომონ მეფემ აბაშიძეების სათავადო ვერ დაიმორჩილა, ხოლო შემდეგ ნთლიანად მოშალა, ლევან აბაშიძის წილი საერთო საკუთრებად გამოაცხადა. სხვა აბაშიძეები ფიცით შემოიშტყიცა და სააბაშიძეთის ნაწილიც მათ უწყალობა.

რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს (1768—1774 წწ) იმერეთის სამეფო ქართლ-კახეთის სამეფოსთან ერთად, რუსეთს მიემხრო. 1770 წლის პირველ ნახევარში სოლომონ მეფემ ოსმალები ზემო იმერეთის უმნიშვნელოვანეს ციხე-სიმაგრეიდან — შორაპნიდან გარეკა. ამავე წლის 2 ივლისს იმერეთში გადმოსულმა ტოტლებენმა ბაღდადის ციხე წაართვა ოსმალებს, ხოლო 9 აგვისტოს რუს-იმერთა შეერთებულმა ლაშქარმა ქუთაისის ციხეც აიღო.

1789 წლიდან სოლომონ მეორის მეფობამ კვლავ მშვიდობა მოუტანა ზემო იმერეთს.

1810 წელს იმერეთის სამეფო შეუერთდა რუსეთს, შინაგანი წესრიგისა და ოსმალთა თავდასხმისაგან დასაცავად ზემო იმერეთის ციხე-სიმაგრეებში და თვით შორაპნში რუსეთის სამხედრო ნაწილები ჩააყენეს და მათი გამოკვება ადგილობრივი მოსახლეობას დაეკისრეს.

1846 წელს ადმინისტრაციული რეფორმით ზემო იმერეთიდან შეიქმნა შორაპნის მაზრა, რომელსაც ვანაგებდა მაზრის უფროსი და მისი თანამშემწე. შორაპნის სამაზრო სამმართველო ემორჩილებოდა ქუთაისის გუბერნატორს. შორაპნის მაზრას მოსახლეობა თითქმის ერთფეროვანი იყო და ქართველებისაგან შედგებოდა. მოსახლეობის ზუსტ რიცხვს გვაწვდის 1897 წლის მოსახლეობის სრულიად რუსეთის საყოველთაო აღწერა. 156.635 კაციდან მოსახლეობის ცხრა მეათედს გლეხები შეადგენდნენ.

1865 წლის ნოემბერში ქუთაისის გუბერნიაში ბატონყობის გაუქმებამ შორაპნის მაზრაშიც გზა გაუხსნა ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლას.

ცხნარის ეკლესიის წარწერების შესახებ

თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის თანამშრომელთა ერთი ჯგუფის მიერ თეთრიწყაროს რ-ნის სოფ. ცხნარში დაფიქსირებული მასალის დამუშავებისას ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ცხნარის ეკლესიის წარწერები უკვე გამოქვეყნებული უფოლა 1977 წელს [1]. ამ წარწერების ჩვენთვის წაკითხვა რომ გამოქვეყნებულიაგან არ განსხვავდებოდა, გავიხარა, მაგრამ ცოტა გულაც დაგწავდა რომ „პირველები“ არ ვიყავით; თუმცა ის სიამოვნება კი განვიცადეთ, რაც თან ახლავს უცნობი წარწერის ნახვას, მის ამოკითხვაზე წვალებას და იმაზე ფიქრს, თუ რას უნდა ნიშნავდეს წაკითხული. ცხნარის ეკლესიისა და მისი წარწერების შესახებ ინფორმაციის სისტრულისათვის შეიქმნა სასარგებლო იყოს ჩვენს მიერ ექსკურსიის შობამქმლუბის სახით მოწოდებული მასალა.

გასული წლის მაისში ფიტარეთის სახელგანთქმული ტაძრის დასათვალიერებლად მიმავალნი, ჩვენდაუნებურად აღმოჩნდით მცხოვრებლებისაგან თითქმის მიტოვებულ პატარა სოფელში. უკარფანჯრო სახლების, ჩაქცეული ლობეების, შამბნარმოკიდებელი კარმიდამოს ცოტა არ იყოს შემკართობელ მღუმარებას მხოლოდ სოფლის შუაგულში ოსტატის მადლიანი ხელით ამოყვანილი ქვის სადინარიდან გამოსული წყაროს წყლის ჩხრიალა არღვევდა. ცოტა მოშორებით ერთ ეზოში ორიოდ ადამიანი შეენიშნეთ. მალე იმ ეზოდან ჩვენთან მოიბრინა ერთმა ცნობისმოყვარე ოსის ბიჭმა. მისგან გავიგეთ, რომ მოესულვართ სოფ. ცხნარში. აქ მცხოვრები ოსები, რომლებიც გასულ საუკუნეში უნდა ჩასახლებულიყვნენ მტრის გაუთავებელი შემოსევებით დაცარიელებულ ამ ძველ ქართულ სოფელში, ბოლო წლებში აქედან აყრილან და საცხოვრებლად გადასულან ზოგი ქ. ორჯონიკიძეში, ზოგიც კიდევ სხვაგან; დარჩენილა მხოლოდ ერთი ოჯახი, რომელიც იმ დღეს თავის ერთი წლის წინ გარდაცვლილ წევრს ხსოვნის დღეს უხდიდა...

სოფლის განაპირას, სასაფლაოსთან დავინახეთ მცირე ზომის სახურავ-ჩაქცეული ეკლესია, რომელსაც სამხრეთიდან მთელ სიგრძეზე მიშენებული აქვს ვიწრო სამლოცველო. ახლოს მიედით. ორი ჩვენთაგანი სამლოცველოში შევიდა. სხვებმა გარედან შემოფურრეთ საყდარს. სამი მხრიდან მისი კედლები ჭერ კიდევ შემორჩენილია, ხოლო ჩრდილოეთის კედელი თითქმის დანგრეულია. საყდარს აღმოსავლეთიდან აქვს ერთი სარკმელი და ორი პატარა ნიში სარკმლის ორივე მხარეს. ამ პატარა ნიშებმა მოგვავონა ის სამკუთხა პრიზმისებურა ნიშები რელიეფური ჭერის ქვევით სარკმლის ორსავე მხარეს, რომლებიც ასე ნიშანდობლივია შუა საუკუნეების ქართული ტაძრების აღმოსავლეთი ფასადისათვის.



ცხნარის ეკლესია. ზედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

Церковь в сел. Цхнари.
Вид с юго-востока.

სანამ ჩვენ ეკლესიას ვათვალიერებდით, ცა შავი ღრუბლებით დაიფარა. აეჩქარდით, რადგან დაღამებამდე უნდა მოგვესწრო ფიტარეთში მისვლა. მაშინ ისე წამოვედით ცხნარიდან, რომ მისი ფოტოფიქსირება ვერ შეეძლებოდა.

გვიან ღამით დავბრუნდით თეთრწყაროში. დიდი იყო ფიტარეთის დიდებული ტაძრის დათვალიერებით მიღებული შთაბეჭდილება, მაგრამ გული გეწყდებოდა ცხნარზე. დავთქვათ, რომ ისევე ვეწვეოდით ამ ადგილებს.

მართლაც იმავე წლის ოქტომბრის ერთ მშვენიერ დღეს ხელმოვრედ ვესტუმრეთ ცხნარს. მაშინვე ეკლესიას მივაშურეთ განაწილებული ფუნქციებით — ერთმა, ფოტოაპარატებით ახუნძლულმა მოხერხებული პოზიციები შეარჩია ფოტოფიქსაციისათვის, მეორემ ეკლესიის გარშემო საფლავის ქვებზე მხედრულ წარწერებს დაუწყო კირკიტი, დანარჩენები კი დაბალი და ვიწრო შესასვლელით საყდრის კედელზე მიშენებულ სამლოცველოში შევედით. ეკლესიის სამხრეთ კედელზე, რომელიც ნახევრამდე მოქცეულია სამლოცველოს შიგნით, დავაფიქსირეთ ზეთი წარწერა.

საყდრის ერთადერთ შესასვლელს, რომელიც ვაკრილია მის სამხრეთ კედელში და მოქცეულია სამლოცველოს შიგნით, ჩარჩოდ გარს უვლის მშვენიერი წნულით მოჩუქურთმებული სამი მოყვითალო ქვა. დაასლოებით ერთი მეტრის სიგანის შესასვლელში ჩანს თუ რა სქელია საყდრის კარგად გათლილი ლოდებით ნაშენი კედლები. შესასვლელის თავზე ბალავრის დიდი ქვის ზედა ნაწილი უკავია ასომთავრულით ამოკვეთილი წარწერის სამ



ეკლესიის შესასვლელი და წარწერები
ბაღაურის ქვაზე.

Вход в церковь и надпись.



ქაჯვარი ასომთავრული წარწერით.

Надпись. «Асомтаврули».



სტრაქონს. ამ წარწერაში „ბ“ გვხვდება ორჯერ თავშეკრულია ერთხელ თავლია 4 სახით, „მ“ — 2 სახით, ხოლო „წ“ ამოკვეთილია ნუსხური 7 სახით, ორჯერ ერთ სიტყვაში. ბალაერის ქვის ცენტრალური ნაწილი უკვეა ჩარჩოს, შექმნილს ქვის ზედაპირიდან ამოზურკეთი ნაკვეთი სამი ლილვით, რომელთაგან ქვედა პორიზონტალურია, ხოლო ზედა ორი შუა ნაწილში ნახევარწრიული. ამასთან პირველი და მესამე ლილვის ზედაპირები ირიბად დასერილია პარალელური ხაზებით დაგრეხილი თოკის მსგავსად. ამ ნახევარწრის შუაში ამოკვეთილია წრიულ ჩარჩოში ჩამთელი ჭვარი ტოლი, ბოლოგანიერი მკლავებით, რომლის მარცხნივ და მარჯვნივ ასომთავრულით ამოკვეთილია მეორე წარწერა. აქ ასოები ამოკვეთილია მიმობნეულად, არათანაბარი ზომით; ამასთან „მ“ გვხვდება როგორც 2, ისე 3 სახით.

ბალაერის ქვაზე არსებობს კიდევ მესამე წარწერა: პორიზონტალური ლილვის ქვევით მის პარალელურად შესრულებულია ძნელად გასარჩევი ხეცურით ერთი სტრაქონი. ეს წარწერა ამოკაწრულს წააგავს. ადგილზე ამ წარწერის ამოკითხვა ერთი ცდით ვერ მოვახერხეთ (მთელი ყურადღება პირველ წარწერას დავუთმეთ), ხოლო ფოტოსურათმა მისი ნაწილობრივი და ისიც სავარაუდოდ გარჩევის შესაძლებლობა მოგვცა.*

ამ წარწერაში „მ“ გვხვდება ისეთივე 3 სახით, როგორც მეორე ასომთავრულ წარწერაში, რაც შეიძლება მათი შესრულების თანადროულობაზე მიუთითებდეს.

მეოთხე წარწერა ამოკვეთილია ასომთავრულად ფავე კედელზე, ზევით შესასვლელის მარცხნივ, ცალკე ქვაზე ერთ სტრაქონად.

მეხუთე წარწერა მოთავსებულია არა უშუალოდ საყდრის სამხრეთ კედელზე, არამედ ერთერთზე იმ ოთხი სექტიტანაში, რომლებიც განლაგებულია ამ კედლის გასწვრივ მასთან უშუალო თანხებაში. ეს არის საყდრის შესასვლელის მარჯვნივ მეორე სექტი, უფრო სწორედ სექტიად გამოყენებული ქვაჯვარი ასომთავრული წარწერის ორი სტრაქონი მოთავსებულია ქვ. ჭვარის ტანზე. ჩაკვეთილი ბოლნური ჯერის ქვეშ, ხოლო ხუთი სტრაქონი მისი ბაზისის წინა წახნაგზე.

მასხენიებული ხუთი წარწერიდან ოთხი, სახელდობრ პირველი, მეორე, მეოთხე და მეხუთე უკვე გამოკვეთილია¹. მათი შინაარსის აქ მოყვანა ზედმეტად მივიჩნით, რაც შეეხება მესამე წარწერას, იგი შეიძლება დახუსტდეს ადგილზე შესწავლით.

ცხნარის ეკლესია მოხატული ყოფილა, შესასვლელის პირდაპირ ჩრდილოეთის კედელზე შემორჩენილია ბათქაში ფერადი მოხატულობის კვალით. ეკლესიის იატაკი არ ჩანს, ჩამოქცეული სახურავისა და კედლების დანგრეობის შორის ამოსულა რამდენიმე ხე და საყდრის შიდა სივრცე ამჟამად გველურებულ პატარა შიგა ბაღს წააგავს.

* ხუდური ტექსტის აწერა ვერ მოხერხდა.

¹ დ. ბერძენიშვილი — წარწერები სოფელ ცხნარიდან, „ძეგლის მეგობარი“, № 42—43.

ბაგრატის ტაძრის კომპოზიციის აგებულულის კანონზომიერებანი

X—XIII საუკუნეები ქართველი ხალხის ისტორიაში, როგორც ცნობილია, ხასიათდება მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების ახალი აღმავლობით, ამ ეპოქაში შეიქმნა ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი — ბაგრატის ტაძარი.

ეს ძეგლი, რომელმაც ჩვენს დრომდე ძალზე დაზიანებული სახით მოაღწია, ამჟამად ძირითადად აღდგენილია (გარდა გუმბათის ნაწილისა). მის რესტავრაცია-რეკონსტრუქციაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობს ცნობილი მკვლევარი ვ. ცინცაძე, ამ მხრივ, თავის დროზე გარკვეული სამუშაო ჩაატარა აგრეთვე ნ. სევეროვმა.

აქ გვინდა განვიხილოთ ამ ტაძრის კომპოზიციის აგებულების კანონზომიერებანი, რომლთაც ხელმძღვანელობდა ხუროთმოძღვარი მისი გაანზრებისა და შექმნისას. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება გვინდა მივაქციოთ ძეგლის ძირითადი ელემენტის, გუმბათის რეკონსტრუქციის საკითხს, რითაც შეიძლება რაიმე სარგებლობა მოვუტანოთ ამ ძეგლის აღდგენის წარმატებით დამთავრების საქმეს.

ბაგრატის ტაძარი, როგორც ცნობილია, თავისი გეგმარებით — მოცულობითი კომპოზიციით და კონსტრუქციულა კადაწყვეტით, როგორც გენეტიკურად ისე ევოლუციურად ენათესავება ოშკის ტაძარს.

ისევე როგორც ოშკს, ბაგრატის ტაძარს საფუძვლად დაედო ტრიკონქი ოთხი, ცალკე მდგომი, ძლიერი გუმბათქვეშა ბურჯებით. მიუხედავად ამისა მთელი კომპოზიციის აგებულებაში, ოშკიან შედარებით აშკარად ჩანს ხუროთმოძღვრის სხვა უფრო ფართო შემოქმედებითი მიდგომა. აქ, სხვა ძეგლებთან შედარებით, ფორმები უფრო დახვეწილი და თავისუფლად განვითარებულია, რისი მეოხებითაც შიდა სივრცეები იღებს ჰერმეტიკად განუმეორებელ სიღიადეს.

გარე მოცულობები ტრადიციულად ორგანულად გამომდინარეობს შიდა სივრცეებიდან. ისინი წარმოადგენენ ნაღლა აწეულ გრანდიოზულ ჯვარს, დაგვირგვინებულს ძლიერი გუმბათით. თავიდან ბოლომდე გამოვლენილი ჩრდილო-სამხრეთის მკლავები, უფრო მეტად ესეაშს ხაზს ძეგლის ძირითად იდეას.

ამრიგად, ბაგრატის ტაძარი, წარმოადგენს რა თავისი ეპოქის შესატყვის ნაწარმოებს, ამავე დროს მჭიდროდ უკავშირდება წინა ეპოქის ძეგლებს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია დავასკვნათ, რომ მისი კომპოზიციის აგებას საფუძვლად უნდა დასდებოდა როგორც მემკვიდრეობით მიღებული, ასევე ახალი მეთოდები და კანონზომიერებები.



ამ მეთოდებისა და კანონზომიერებების უკეთ გამოსავლენად, ანალიზი გაკეთებულია ტაძრის დაკვალვისა და აგების პროცესის მიმდინარე სტადიების თანმიმდევრობის დაკვირვებით.

ხუროთმოძღვარი შენობის აგებას იწყებდა მოსწორებულ მოედანზე გეგმის დაკვლით. პირველყოვლისა მას მიწაზე დაჰქონდა შენობის ღერძები, მიმართული, როგორც წესი, ქვეყნის მხარეებისაკენ. მათზე (ნახ. 1) განლაგებდა მთელი კომპოზიციის ამოსავალ ელემენტს — გუმბათქვეშა კვადრატს სიდიდით $M = 9\frac{1}{2}m$ (9.00 მ.). ის მიღებულია შენობის ამოსავალ სიდიდესთან — მთელ შიდა სიგრძესთან, (რომელიც წინდაწინ ისახებოდა) ფარდობაში როგორც 1:4 რაც აგრეთვე ოშკის ანალოგიური იყო.

დაკვალვის მეორე სტადიაზე გუმბათქვეშა კვადრატის გარშემო (ნახ. 2) აგებს გეგმარებითი ჯგირა მკლავებს, რომლებსაც, ოშკისაგან განსხვავებით, (სადაც გუმბათის ტრადიციულად ცენტრირებული კანლაგება დარღვეულ იქნა) ისევე მკაცრად სიმეტრიულად ტოლს აკეთებს ორივე ღერძზე. სივნით ყველა ტოლია გუმბათქვეშა კვადრატისა ე. ი. M -ისა, რაც შეეხება სიღრმეებს მათ საწყისში, როგორც წესი, სხავეს საერთო სიღრმეებში. კერძოდ, მთავარ ამოსავალეთ-დასავლეთის მკლავებს აკეთებს ტოლს $1\frac{1}{2}M + m$ (14,54 მ.). ხოლო დაქვემდებარებულ, ჩრდილო-სამხრეთის მკლავებს ტოლს M (9.98 მ.) როგორც შემდგომი ანალიზი გვიჩვენებს, ნომინალურ (მოდელურ) ზომების თითო m წაუმატა გუმბათქვეშა გამზვენი თაღების მოსაწყობად იქ თავი მთელი შიდა სიგრძე, ამავე დროს, გახადა ოშკის იდენტური.

შემდეგ სტადიაზე (ნახ. 3) ახდენს მკლავების არქიტექტურულ-მხატვრულ დანაწევრებას, რისთვისაც აწყობს მათში ვანივ და გრძივ ბემებს.

მეოთხე სტადიაზე (ნახ. 4) ხუროთმოძღვარი განსაზღვრავს ნაგებობების გარე კონტურს მის ძირითად ნაწილში. ამასათვის ამოსავალეთ-დასავლეთის მკლავების გასწვრივ ორივე მხარეს, გადაზომავს $\frac{1}{2}M$ (4.62 მ) გვერდითი ნივბის და დამხმარე სათავსების მოსაწყობად საკურთხეველის აფსიდთან. შემდეგ ყველა მხრიდან (ჩრდილო-სამხრეთის მკლავების ჩართვით) გადაზომავს კედლის სისქეებს და ატარებს ნაგებობის კონტურებს.


ამავე სტადიაზე გუმბათქვეშა კვადრატის კუთხეებში აწყობს ოთხ ძლიერ ცალკე მდგომ გუმბათქვეშა ბურჯებს, რომელთა ერთიანი სისტემა წარმოადგენდა მთელი შენობის კონსტრუქციული სტრუქტურის ძირითად ბირთვს.

ბაილოს მეხუთე სტადიაზე, (ნახ. 5) აწყობს დამხმარე სათავსებს საკურთხეველის გვერდებზე. ხოლო დასავლეთის მკლავების გასწვრივ გვერდით ნაგებებს ამავე დროს ახდენს შენობის გარე კონტურის მხატვრულ დამუშავებას. რითაც ამთავრებს მთელი გეგმარებითი კომპოზიციის აგებას.


ვერტიკალურ მოცულობათა აგების დასაწყისში, ხუროთმოძღვარი აქაც წინდაწინ სახავეს ნაგებობის ძირითად ვერტიკალურ სიღრმეებს, ტრადიციულად დაკავშირებულს გვერდურ სიღრმეებთან. მაგრამ მათ დადგენამდე წინასწარ მოგვიხდებდა გუმბათის რეკონსტრუქციის საკითხის გადაწყვეტა.

აქ, პირველ რიგში, ლოგიკურია მივმართოთ მის უშუალო წინამორბედებს — ახალ იშხანს და ოშკს, სადაც გუმბათები შემორჩენილია თავისი პირვანდელი სახით. პაგრატის ტაძარი, როგორც აღვნიშნეთ, გენეტიკურად

ნახ. 1.



Чертеж 1.




ნახ. 2.

Чертеж 2.

და ევოლუციურად უკავშირდება ამ ძეგლებს, ამიტომ, ბუნებრივია, ვიფიქროთ რომ მისი გუმბათის თანაფარდობაც ისეთივე იყო როგორც ახალი იშხანისა და ოშკის ე. ი. მისი შიდა სიმაღლე ტოლი უნდა ყოფილიყო $1\frac{1}{2}M$ -სა შევამოწმოთ ეს დაშვება.

გუმბათის ასეთი სიდიდეების შემთხვევაში, როგორც ანალიზი გვიჩვენებს ვერტიკალურ მოცულობათა კანონზომიერებანი მთლიანად ემთხვევა ტრადიციულად ჩამოყალიბებულ კანონებს. ვერძოლ, როგორც ნახაზებიდან ჩანს (ნახ. 6), მთელი შიდა სიმაღლე, ტრადიციისამებრ, ტოლია მთელი შიდა სიგრძისა ე. ი. $4M$ -ისა (მხოლოდ იმ ორი III-ის გარეშე, რომლითაც მან მკლავთა სიღრმეებში საწყისშივე გაზარდა გუმბათქვეშა თაღების დასახვისას). ამ ორ ძირითად სიდიდეთა ტოლობას ადასტურებს აგრეთვე ნ. სევეროვის რეკონსტრუქცია, სადაც ეს სიდიდე ასევე $4M$ -ის (36,0 მ) ტოლია.

გარდა ამისა, გუმბათის ჩვენს მიერ მიღებული სიდიდე, როგორც ქვემოთ





Եօ՛. 3.

Շերտը 3.

Եօ՛. 4.

Շերտը 4.






ნახ. 5.

Чертеж 5.

მოყვანილი ტაბულები გვიჩვენებს (ტაბ. 1, 2, 3, 4), მთლიანად ერწყმის ამ ეპოქის განვითარების ტენდენციებს. მართლაც, როგორც ამ ტაბულებიდან ვხედავთ, თუ გარდამავალი ეპოქის ძეგლში ვარნაძიანში, კანონზონიერებანი ჯერ კიდევ მჭიდროდ უკავშირდება წინა პერიოდებს, ომში უკვე ნათლად ვხედავთ ხარისხობრივ ცვლილებებს, ახალი აღმავალი პერიოდის შესაბამისად ოშკის შემდეგ უკვე ბოლომდე გამოიკვეთა ახალი ეპოქიდან გამომდინარე, მაგრამ ტრადიციებზე დაყრდნობილი, მიდგომა. ამის შემდეგ როგორც შიდა, ისე გარე მოცულობათა კომპოზიციის აგების კანონზომიერებანი ხდებიან სტაბილურნი.

როგორც ვხედავთ (ტაბ. 1), კათედრალურში ტრადიციულად შიდა მთელი სიმაღლეები ტოლი ხდება შიდა მთელი სიგრიძისა (რაც გარდამავალ ეპოქაში ნერყევობდა).

რაც შეეხება გუმბათებს აქ უკვე ვხედავთ (ტაბ. 2) ახალ მიდგომას. ახალ ამოცანათა შესაბამისად მათი როგორც შიდა ისევე გარე სიმაღლეები დიამეტრთან შედარებით იზრდება და ფარდობა ამ სიდიდეებისა აღწევს 1:1,5. (ერთგვარი გადანრა ალავერდში გამოწვეული იყო კახეთის არქიტექტურის საერთოდ ზეაზიდული პროპორციებისადმი მისწრაფებით). ამ კანონზომიერებათა არსებობას ასაბუთებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ კათედრალურში მუდმივია გუმბათისა და გუმბათქვეშა ნაწილის სიმაღლეებს შორის ურთიერთდამოკიდებულება (ტაბ. 2).



ჩ. 6.

Чертеж 6.

გარე მოცულობათა აგებულებაში (ნახ. 7), გარკვეულ კანონზომიერებათა უფრო ნათელ გამოხატულებას ვხედავთ (ტაბ. 3). ჩანს, რომ ამ პერიოდში გარე მოცულობებს უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა ვიდრე შიდას (რაც უფრო ნაკვეთრად ვლინდება შემდგომ, სამთავისის პერიოდში).

როგორც ვხედავთ იმავე ტაბულიდან, გარდამავალ ძეგლებში და მათ მომიჯნავე ბაგრატის ტაძარში, ჯერ კიდევ ძალაში რჩება იმთავითვე ჩამოყალიბებული კანონი მთელი გარე სიმაღლის ტოლობისა მთელ გარე სიგანესთან. მაგრამ უკვე ოშკში, კომპოზიციის ხარისხობრივ ცვლასთან ერთად იცვლება მისი აგების კანონზომიერებანიც. როგორც ტაბულა გვიჩვენებს (ტაბ. 4), ძველი კანონის გვერდით, ჩრდილო-სამხრეთის მკლავთა თავისუფალი განვითარების გამო, გამოყენებულ იქნა აგრეთვე ახალი კანონი, ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ გურჯაანის ყველაწმინდაში. ეს იყო კანონი გუმბათქვეშა ნაწილის გარე სიმაღლის ტოლობისა ძირითად აღმოსავლეთ-დასავლეთის მკლავის გარე სიგანესთან. ბაგრატის ტაძარშიც, ისევე როგორც ოშკში, (მათი სტრუქტურული წყობის იდენტურობის გამო) გამოყენებულ იქნა ორმაგი კანონზომიერება. მაგრამ უკვე ალავერდში, ტრიკონქის მთელი კომპოზიციის ერთ სწორკუთხედში



ტაბულა 1

| ძველი | ნაგებობის შიდა სიგრძე | ნაგებობის შიდა სიმაღლე | შით შორის ფარდობა |
|----------------|---|---|-------------------|
| განსაძინი | $3\frac{1}{4} M$ (- $\frac{1}{4} m$) (19,92) | $3\frac{1}{4} M$ (+ $\frac{1}{2} m$) (20,65) | 1 : 1 |
| ოშკი | $4 M$ (+2 m) (41,00) | $3\frac{1}{2} M$ (+m) (34,80) | 1 : 1,6 |
| ბერატის ტაძარი | $4 M$ (+2 m) (38,08) | $4 M$ (36,00) | 1 : 1,05 |
| ილავერდი | $4\frac{1}{2} M$ (+ $\frac{1}{2} m$) (39,66) | $4\frac{1}{2} M$ (+ m) (41,23) | 1 : 1 |
| სვეტოცხოველი | $4 M$ (+m) (41,06) | $4 M$ (+m) (40,70) | 1 : 1 |

შენიშვნა: ფრჩხილებში ნაჩვენებია ამოთვლ მიზეზით გამოწვეული გადასტები მოდულური სიდიდეებიდან.


ტაბულა 2

| ძველი | გუმბათის შიდა დიამეტრი | გუმბათის შიდა სიმაღლე | შით შორის ფარდობა | გუმბათზე უმა ნაწილის მაჯა სიმაღლე | სხვაობა გუმბათ-ქვეშა ნაწ. და გუმბ. სიმაღ. შორის |
|----------------|------------------------|---------------------------------------|-------------------|---|---|
| განსაძინი | M (8,20) | M (+ $\frac{1}{2} m$) (6,70) | 1 : 1 | | |
| ოშკი | M (9,70) | $1\frac{1}{2} M$ (14,30) | 1 : 1,5 | | |
| ბერატის ტაძარი | M (9,00) | $1\frac{1}{2} M$ (13,50) | 1 : 1,5 | $2\frac{1}{2} M$ (22,50) | M |
| ილავერდი | M (8,70) | $1\frac{3}{4} M$ (15,39) | 1 : 1,75 | $2\frac{3}{4} M$ (25,00) | M (+ m) |
| სვეტოცხოველი | M (10,02) | $1\frac{1}{2} M$ (14,80) | 1 : 1,5 | $2\frac{1}{2} M$ (+ $\frac{1}{2} m$) (25,90) | M (+ $\frac{1}{2} m$) |

ტაბულა 3

| ძველი | ნაგებობის მთელი გარე სიგრძე | ნაგებობის მთელი გარე სიმაღლე | შით შორის ფარდობა |
|----------------|---|--|-------------------|
| განსაძინი | $3 M$ (- $\frac{1}{4} m$) (17,85) | $3 M$ (- $\frac{1}{4} m$) (18,48) | 1 : 1 |
| ოშკი | $3 M$ (+ $\frac{1}{4} m$) (19,36) | $3 M$ (20,05) | 1 : 1 |
| ბერატის ტაძარი | $3\frac{3}{4} M$ (- $\frac{1}{4} m$) (32,48) | $3\frac{3}{4} M$ (33,00) | 1 : 1 |

| ძველი | აღმოსავლეთ-დასავლეთის შეკვეთის ვარჯ სივრცე | გუმბათზეშა ნაწილ-ს ვარჯ სიმაღლე | მათ შორის ფარდობა |
|-----------------|---|------------------------------------|----------------------|
| ოწე | 2 M (+ 1/2 m) (18,70) | 2 M (+ 1/2 m) (20,00) | 1 : 1 |
| ბეგრატის ტაძარი | 2 1/4 M (+ 1/2 m) (20,91) | 2 1/4 M (+ 1/2 m) (20,86) | 1 : 1 |
| ილქვერდი | 3 M (- 1/2 m) (25,35) | 3 M (- 1/2 m) (25,70) | 1 : 1 |
| სვეტიცხოველი | 2 1/2 M (- m) (24,10) | 2 1/2 M (- m) (24,30) | 1 : 1 |



ნახ. 7.

შერეკ. 7.

განლაგების გამო ნათელი ხდება ძველი კანონზომიერების დათმობის აუცილებლობა და მარტო ახლის გამოყენება. და მართლაც სვეტიცხოველში და შემდგომ სამთავისის პერიოდში უკვე გამოიყენება მარტო ახალი კანონი, რადგან



გეგმარებით — მოცულობითი კომპოზიცია ამ ძეგლებში მოქცეულია აგრეთვე მთლიან სწორკუთხა აბრისში.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ბაგრატიის ტაძრის მთელი კომპოზიციის (მათ შორის ჩვენ მიერ მოღებული გუმბათის) აგებულების კანონზომიერებანი მთლიანად ეთანხმება ამ ეპოქის ტენდენციებსა და კანონზომიერებებს, რაც ალბათ უნდა მიგვიბრუნებდეს მათ სისწორეზე. ამას დამატებით ასაბუთებს კიდევ ის გარემოება, რომ შენობაზე კარვისებური სახურავის მოწყობის შემდეგ გუმბათის თაღსა და სახურავს შორის რჩება ტრადიციულად მიღებული ზუსტად კონსტრუქციულად საჭირო სისქე.

აი ასეთი უნდა ყოფილიყო, ჩვენის აზრით, ბაგრატიის ტაძრის სტრუქტურულ ფორმათა ურთიერთთანაფარობანი და მათი წყობის კანონზომიერებანი.



მლინისტური ხანის მედაზურის სახლი უფლისციხე — ბამბეზიან

უხალეს ქართულ ისტორიოგრაფიაში შემუშავდა მოსაზრება, რომ ანტიკური ხანის ძველი ქალაქი მოითვლიდა ციხეს, ქალაქსა და გარეუბანს (სასოფლო-სამეურნეო რაიონს). საეპოიდ ხანგრძლივი პერიოდის მასილზე ქალაქის ეს ორი ნაწილი ერთდროულად და პარალელურად ყალიბდებოდა და ერთ მთლიან ორგანიზმად იცვრებოდა. მისი ჩანასახები ვერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში შეინიშნება მსხვილი, დაბური ტიპის სამოსახლოების ტომოგრაფიაში. ქალაქის სასოფლო გარეუბანი მოიცავდა მოზრდილ ტერიტორიას, რომელიც დასახლებული იყო ნახევრად თავისუფალი და თავისუფალი თემებით (დაბებით). აქ წარმოდგენილი იყო ზეფის ოჯახის (სამეფო დომენი), ტაძრების და მსხვილი მიწათმფლობელების მურხნობები, ქალაქის მკვიდრი თემისა და დაბების რიგით მეთემეთა ნაკვეთები, ავრუოვე, საერთო სათემო სარგებლობის მიწები.¹ ამ თვალსაზრისით სინტეზესო მასალას ძღვევა უფლისციხე მის სასოფლო გარეუბანში გამოვლენდა და არქეოლოგიურად ისწავლება სასოფლო თემების ნადაბარები — ნადაბარები (აღგ. ბამბეზში, ყათალიაზეში, ლალანთხეში, ღრმა ზეფში). სასოფლო რაიონის დაბები მკირთ ოჯახების ინდივიდუალური საცხოვრებლებით აღმოსავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელ კომპაქტურ დასახლებებს წარმოადგენენ. საცხოვრებელი სახლი მრავალგანყოფილებიანი ნაგებობაა, რომელშიც გარდა საცხოვრებელი დარბაზისა, გამოიყოფა სამეურნეო სათავსებიც (მარანი, საკუჭნაო, სამზარეულო).² ასეთი აღნაგობისა უფლისციხეში ბამბების ნამოსახლარზე გათხრული სახლები, რომლებიც ძვ. წ. III—II სს მიეკუთვნება დაბის მცხოვრებთა ძირითადი მასა მიწათმოქმედებას მისდევდა, ვარკვეული ნაწილი კი ხელოსნობასა (ე. წ. „გრაფიორის სამარხი“ ბამბების ნადაბარიდან, მეთუნის სამარხი ყათალიაზევის ნადაბარიდან) და მესაქონლეობაში იყო დასაქმებული.

სოფელ უფლისციხის დასავლეთით ნახევარ კილომეტრზე მტკვრის მარცხენა ნაპირთან მდებარეობს ბამბების ნამოსახლარი, რომელიც მდინარის გულლებით ხეთასიოდ მტკვრზეა გაშლილი. ბამბების ნამოსახლარის დასვერვა და გათხრები დაიწყო 1957 წელს და გრძელდება დღემდე. დღესდღეობით აქ გათხრებს აწარმოებს საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის უფლისციხის არქეოლოგიური ექსპედიცია (ზელმძლ. თ. სანიკიძე, უფროსი თ. მარტშიძე, სველე არქეოლოგიური გათხრების ზელმძლ. დ. სახუტაიშვილი). 1970 წლამდე ჩატარებული მუშაობის შედეგები გამოქვეყნებულია „უფლისციხე“³ და „უფლისციხე“ II-ში, სადაც დავით ხახუტაიშვილის მიერ გამოყოფილია შემდეგი ფენები:

I. ზედა ფენა წარმოდგენილია სტერილური შრით, რომლის სიმაღლე 2—3,5 მ.

II. ადრეელისტური ხანის ფენა შეიცავს ნაგებობათა ნანგრევებს და შიითვლის ორ ღონეს: ზედასა და ქვედას. ღონეებს შორის ქრონოლოგიურ-წყვეტლი 50—100 წელს შეადგენს. ამ ფენაში ჩაქრილია ძვ. წ. II-I სს-ის სამარხები, რომელიც სტერილური ფენის წარმოქმნის პირველ პერიოდს მი-



ეკუთვნება. ორმოების ზედა ნახევარ-სტერილური ფენის ქვედა ღონეს ხოლო ქვედა ნახევარი ადრეელონისტური ხანის ფენაში ეშვება, ისე რომ მათი იატაკები ზოგჯერ ერთმანეთს ემთხვევა, ზოგჯერ კი სამარბთა იატაკი ოდნავ აწიანებს ადრეელონისტური ხანის ნაგებობათა თიხატყეპნილ იატაკს.

III. ადრეელონისტური ხანის ფენა ღვეს ძვ. წ. V-IV სს-ის სამაროვნებზე. სამარხის იატაკსა და ამ დროის ნაგებობებზე იატაკის ღონეებს შორის სხვაობა 60 სმ-ია.

ბამბების ნამოსახლარზე მოპოვებულია სონტერესთ მსაღებო, კერძოდ: ფარახტული ცხენის ქანდაკება, ცხვრის ქანდაკება, ნიღბოსანი ზეჩანგის თიხის ფიგურა, რომელიც სახვითი ხელოვნების ეროვნული საყურადღებო ძეგლია და იგი გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ძვ. წ. VII—VI სს: ქართული სიმეზიანი საკრავების, მუსიკალური კულტურისა და აქტიური ხელოვნების მდგომარეობაზეც; ძეგლის ფორმები — ტახის სილუეტური გამოსახულებით მარცხენა პროფილში და მელისა და იხის გამოსახულებით. ფორმები მხატვრულად გვეუფნის, რომელსაც განვითარებული კქონდა პროპორციის, პარპროპორციისა და წარმოსახვის გრძობა; ივეზის ფიგურა, რომელსაც სასმისის დანიშნულება აქვს, და მრავალი სხვა.

1976 წელს უფლისციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გამოვლენილ იქნა გვიანელონისტური ხანის ნაგებობა (№3), რომლის ფართობი დაახლოებით 70 კვ. მ. შეადგენს. წინა წლებში აღმოჩენილ სახლებთან შედარებით იგი კარგად იყო შენახული, რამაც საშუალება მოგვცა სახლის სტრუქტურის წარმოდგენისა. სახლის კედლების ზედა ნაწილი ნაგებია ხის კარკასზე, რომელიც შედგება თიხის ხსნარით. ამის მანიშნებელია თიხის პათქაშები, ხის დამწვარი ძელების ფრაგმენტები და მზიდავი სვეტების ბუდეები, რომელთაც კედლები შემოჰყვარა აქვთ. იმის გამო, რომ ნაგებობა ძლიერი ხანძრის დროს დაღუპულა, ბევრი რამ უკეთესად შენახულა. კერძოდ: თიხის შელესილობაზე გადარჩა სვეტებისა და წნელების ანაბეჭდები. ხოლო იატაკზე კარგად აღიბეჭდა პერის დანახშირებული კოჭები. რამაც წარმოდგენა შეგვიქმნა გადახურვის სისტემაზე. ძირითადად დარბაზის გადახურვა ბანური ყოფილა, გადახურვის კოჭები ეყრდნობოდა ხის მსხვილ სვეტებს, რომელთა ბუდეები გამოვლენილია კედლების გარე თაროების მიდევნებით. სახლის სიგრძე (N—S), 6,35 მეტრია, სიგანე (W—O) 8,45მ. სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში წარმოდგენილია „ხოველი“ ტიპის ღუმელის ნანგრევი, რომლის საშენ მასალად ძირითადად თიხა გამოყენებული. ღუმელის კედლის მშენებლობაში გამოყენებულია საყოფაცხოვრებო ჭურჭლის ნატეხები, კარგად არის დაცული სანაკრე, ზოგჯერ ნამოსახლარზე ამ ტიპის ღუმელი გვხვდება ძვ. წ. II — ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, ვიდრე ძვ. წ. IV საუკუნემდე. ამ ტიპის ღუმელები გვხვდება როგორც საცხოვრებელ სახლში, ისე საწესო ნაგებობაში. ამავე ტიპისა უნდა იყოს ნაცარგორას II ფენის მსგავსი ნაგებობების ერთი რგული, რომელსაც გ. გობეჯიშვილი „ოთხფოხა საკურთხევლებს“ უწოდებს და ძვ. წ. II ათასწ. მეორე ნახევრით ათარიღებს¹.

დამწვარ ფენაში გამოვლენილ იქნა თიხის ჭურჭლის ნატეხები, ქოთნები, ხელაღები, ჩამები, ფიალები, ხელსაფეკვეთი, სანაყები, ცხოველის ძვლები, დანახშირებული ძელები, ნაცარი და წიდა.



დაბოლოს, როცა გაიწმინდა იატაკის დონე, გაირკვა, რომ იგი თხიხტკენილია. თახის შუა ნაწილში ჰქონიათ კერა, რომლის დიამეტრი 110 სმ-ია. კეროდან 110 სმ-ის დაცილებით, სამხრეთით, დაცულია დედაბოძის ბუდე, რომლის დიამეტრი 45 სმ-ია. კერიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 50 სმ-ის დაშორებით იდო ქვის დიდი ფლა, რომელიც, როგორც ჩანს, მაგიდის მოვალეობას ასრულებდა.

ძირითად დარბაზს სამხრეთიდან ეკვრის კიდევ ერთი ნაგებობა. შემორჩენილია მისი მხოლოდ აღმოსავლეთი კედელი. იატაკი თიხატკენილია. რომელშიც ჩაჭრილია მარცვლეულის შესანახი ორმო (ხარო). ძირითადი დარბაზის ჩრდილოეთით კი მოთავსებულია მეორე ნაგებობა, რომლის იატაკის დონეზე აღმოსნდა რამდენიმე თახის ჰურჭელი. მათგან ორ ქოთანში ცხიველის ძვლებია მოთავსებული. აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, კერძოდ, აფთორის, ლუთერის, გობის, საწურის, ჯამის, ხელაღის ნატეხები გვათქვამბინებს, რომ ეს ნაგებობები ძირითადი დარბაზის სათავსებს წარმოადგენს. სამხრეთით მდებარე სათავსის აღმოსავლეთ მხარეს, კედლის გარეთ წარმოდგენილია სამკვერიანი მარანი. კვევრების გადამხურ ფენაში გამოვლენილია თიხის გობის, დერგის, დოქის, ჯამის ნატეხები. სათავსებში და მარანში გამოვლენილი მასალა ფორმით ძირითად დარბაზში მოპოვებული ჭურჭლის ანალოგიურია. სათავსების იატაკის ნიშნული ძირითადი დარბაზის იატაკის ნიშნულის დონეზეა, რაც მათ სინქრონულაბაზე მიუთითებს. მდებარის საცხოვრებელ კომპლექსში მარნისა და კვევრების აღმოჩენა მდღევანობა-მევენახეობის განვითარებაზე უნდა ნივთიერებდეს. დაბოლ. მცხოვრებთა სამეურნეო ყოფაში მევენახეობა მურნეობის ერთი წამყვანი დარგთაგანც ყოფილა.

ამგვარად, 1976 წელს გათხრილი სახლი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ერთ საცხოვრებელ კომპლექსად, რომელიც შედგება ძირითადი დარბაზისაგან, ორი სათავსისაგან და მარნისაგან.

ადრეელისტური ხანის ასეთი ტიპის სახლები ბამბების ნამოსახლარზე 1968 წელს აღმოჩნდა. 1976 წელს აღმოჩენილი სახლი კიდევ ერთხელ ადასტურებს აზრს იმის შესახებ, რომ ძვ. წ. VI საუკუნიდან, კიდრე ახ. წ. III საუკუნემდე ბამბების დასახლებანი უფლისციხის მადამოების ერთ-ერთ ძლიერ სამიწათმოქმედო თემს (დაბას) წარმოადგენდა.

ბამბების ნამოსახლარის III საცხოვრებელი კომპლექსის გათხრის დროს გამოვლენილი კერამიკული ნაწარმი შეგვიძლია დავყოთ სამეურნეო, საწარეული და სუფრის ჭურჭლად. კეცის ფერის მიხედვით — ლეგა (შავი) და წითელი, ზედაპირის დამუშავების მიხედვით — ხაოიანზედაპირიანი გაპრიალეული, მხატვრულობის თვალსაზრ-სით სადაზედაპირიანი, მოხატული და შეღებილი. მოხატულია მხოლოდ წითელეკიანის კერამიკა, ხოლო გაპრიალეულია როგორც წითელი, ისე შავეკიანი ნაწარმი; მოხატული და შეღებილი ჭურჭლების ნაწილი, იმავე დროს გაპრიალეულიცაა.

სამეურნეო ჭურჭელი წარმოდგენილია კვევრებით, დერგებით, ქილებით. მდებარის III საცხოვრებელ კომპლექსში აღმოჩენილი კვევრები მსგავსებას პოულობს იმ კვევრებთან, რომლებიც იბერიაში ძვ. წ. IV საუკუნეშია გავრცელებული. ქილებს თავისი ანალოგია შელავრის გორაზე გათხრილი სამარხების მასალებს შორის მოეძებნება, რომელიც ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნა-


შესაშე საცხოვრებელი კომპლექსი ბამ-
ბეზიდან. ზედი საშხრეთიდან.



Третий жилой комплекс в Бам-
беби (вид с юга).

ბამბების ნაოსახლარის საერთო გეგმა.

Общий план жилого комплекса в
Бамбеби.







ეროვნული
კულტურული მემკვიდრეობის
ცენტრი



ბამბეგის ნაშოსახლარში აღმოჩენილი
კერამიკული ნივთები.

Керамические предметы из Бам-
бебского комплекса.





თიბის ჭურჭელი ბამბების ნამოსახლარ-
რიდან.

Кувшины из Бамбевского комплекса.

ხევრით ან ძვ. და ახ. წელთაღრიცხვათა მიჯნით თარიღდება. მსგავსი ჭურჭლები აღმოჩენილია ალაზნის ველზე. ამავე კულტურას უკავშირებს ეუმხაროვა უხერ-
ლიე — თეფეზე მოპოვებულ ძვ. წ. III—I სს მასალებს. რომელთა შოიისაც
ასეთი ფორმის ჭურჭლებიც გვხვდება. სამხარეულო ჭურჭელში გვხვდება
ჭოთნები და კოჭობები. ამ ტიპის ჭურჭელი მოპოვებულია დიდუბეში. (რომელ-
თაც დ ჭორიძე ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევრით ათარღებს. სეფრის ჭურ-
ჭელი შეიძლება დაიყოს: ა) დოჭებად, ხელადებად და ბ) ჭამებად, ფიალებად,
თასებად. მათ ანალოგიები მოცდებნებათ სამთავროს III—I სს. ქვეერსამარ-
ხებში¹⁰ და ბამბების ნამოსახლარის ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევრის ორმო-
ნამარხებში¹¹.

მოხატული კერამიკის წგუფიდან აღსანიშნავია ნახევარკვერცხის ფორ-
მის თასის პირ-ვერდის ფრაგმენტი. თიხისაგან დამზადებული ამ ფორმის თა-
სები იბერიაში პირველად აღრეელ-ნისტური ხანიდან ჩნდება. დ. ხახუტაი-
შვილი ფიქრობს, რომ მათა პროტოტიპი უნდა იყოს ძვ. წ. V—IV სს-ის ლითონ-
ნის ძირმრგვალი თასები და ფიალები. არ არის გამორიცხული, რომ მათ პრო-
ტოტიპი მოეძებნოს სინქრონული ხანის ირანის ლითონის ჭურჭელში¹². ახლო
ანალოგიებია მოპოვებული ატექსანდრიაში, დურა-ევროპოსში, ანტიოქიაში,
ოლეიაში და ა. შ.¹³ III საცხოვრებელ კომპლექსში მისი აღმოჩენა ადასტურებს,
რომ ამ ფორმის თასები იბერიაში ძვ. წ. I საუკუნეშიც გვხვდება.

ბამბების ნამოსახლარის III საცხოვრებელ კომპლექსში აღმოჩენილი თი-
ხის ჭურჭელი ძირითადად მორგებულია დამზადებული. გვხვდება პროფილირე-

ბული, სადა, ნაქაწრი და რელიეფური გრეხილი ორნამენტით, მოწითალო საღებავით მოხატული სარტყლების, წერტილების და სხვა მარტივი გეომეტრიული გამოსახულებებით შეწყული ნაწარმი. შეინიშნება დაქვეითების ნიშნები კერამიკულ წარმოებაში, რაც აიხსნება ლითონისა და მინის ნაწარმის გავრცელებით.

ბამბების ნამოსახლარზე გამოვლენილი თიხის კურჭელი ყველაზე მეტ მსგავსებას შულავერში, სამთავროში, დიდუბეში, ავქალაში, კახეთში სოფ. საჭობოში მოპოვებულ მასალებთან ამელავენებს, რომლებიც თარიღდებიან ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევრით. აქ აღმოჩენილა: კერამიკა, მათ შორის წერნაქით მოხატული კურჭლები იმეორებს ბამბების ნეკროპოლის ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევრის კერამიკას. აქ სამარხთა ივენეტარში ოროდ I პართელას მონეტებიც იყო წარმოდგენილი. ამავე ჯროს აქაური კერამიკა, ხაოიანი, ღია ფერის თხელი წერნაქით მოხატული ზედაპირით აშკარად განსხვავდება ძვ. წ. III—II სს. და კიდევ მეტად ახ. წ. I საუკუნის მოხატული კერამიკისაგან.

ამგვარად, მესამე საცხოვრებელ კონსლექსში არსებული მასალების საშუალებით ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა 1976 წელს გათხრილი სახლი დავათარილთ ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევრით. კომპლექსი იძლევა საყურადღებო მასალებს გვიანელინისტური ხანის იბერიული ქალაქის სასოფლო-სამეურნეო გარეუბნის მოსახლეობის ყოფისა და დასახლებათა ხასიათის შესახებ. აქ ჩვენ ვნახულობთ ნივთიერ მონაცემებს იმდროინდელი დაბისა და მედაბურის ცხოვრების ისეთ მხარეებზე, როგორცაა საცხოვრებელი ნაგებობების გეგმარება და აღნაგობა, ნაგებობაში ცალკეულ სათავსთა აშკარად დამოუკიდებელი ფუნქციური დანიშნულება, მევენახეობის სამეურნეო როლი და „მარნის“, როგორც უმნიშვნელოვანესი სამეურნეო სათავსის გამოყოფა, ვითარება კერამიკულ წარმოებაში და კერამიკული ნაწარმის ადგილი გლეხის სამეურნეო და საოჯახო ყოფაში.

^{1,2} საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, გვ. 642-644.

³ დ. მუსხელიშვილი, გ. ციტიშვილი, დ. ხაბტაიშვილი, ზოჯლს არქეოლოგიური გათხრების შედეგები.

⁴ გ. გობეჯიშვილი, სტალინისის ნაყარგორა. ისტორიის ინსტიტუტის „მომომხილველი“, II, 1951, გვ. 248-249, ტაბ. V, 1.

⁵ დ. ხაბტაიშვილი, უფლისციხე, II, თბ. 1970, გვ. 31.

⁶ Кушнарева К. X. Поселение эпохи бронзы на холме Узерлик-теле около Агдама, МИА, 67, 1959, стр. 426, 429.

⁷ დ. კობიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები. II, გვ. 48.

⁸ ვ. თოლორდავა, მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ. წ. III-1 სს. შსკ, ტ. III, 1963, გვ. 142.

⁹ დ. ხაბტაიშვილი, უფლისციხე, I, თბ., 1964, გვ. 61.

¹⁰ დ. ხაბტაიშვილი, უფლისციხე, II, თბ., 1970, გვ. 54.

¹¹ Тираци Г. А. О расписной керамике древней Армении, стр. 274, 277, табл. 1, 4.

ძველი თბილისის სასმელი და სარწყავი წყლით მომარაგება

სარწყავი და სასმელი წყლით თბილისის მომარაგებას, მუდამ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა.

შუა საუკუნეთა წყალსადენები ჩვენში უკვე მეცნიერულად საკმაოდ შესწავლილია გათხრების საშუალებით რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით¹. 1937 წელს გათხრილ იქნა სხალტბა-შიომღვიმის შესანიშნავად მოწყობილი კერამიკული წყალსადენი, რომელიც წერილობითი წყაროების მიხედვით 1202 წელსაა გაყვანილი მონასტრისათვის.² 1948 წელს თბილისში, სამასი არაგველის ბაღში, აღმოჩენილი XII-XIII სს. მხატვრული კერამიკის სახელოსნოს თხრისას ნაპოვნია ამ სახელოსნოსთან დაკავშირებული კერამიკული წყალსადენის ნაშთი³. 1949 წელს ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, პრაფესორ ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით, თეთრი წყაროს მახლობლად, ნადარბაზევში გათხარა თამარ მეფის ნასახლარად მიჩნეული ნაგებობების ნანგრევები და მის ეზოში აღმოაჩინა კერამიკული წყალსადენი, რომელიც წერილი და სქელკედლიანია. იგი ჩვენს მიერ თბილისის მიდამოებში ახლად აღმოჩენილი წყალსადენის მსგავსად გარემოკრული და ფილაქნებით გადახურული მილებისაგან შედგება, რომელსაც წნევით ამოჰყავდა წყალი ქანობზე⁴.

თბილისში „ლურჯი მონასტრის“ ეზოში გათხარა ნაშთი ძველი კერამიკული წყალსადენისა, რომელიც, ჩანს, მთაწმინდის კალთებიდან მოემართებოდა⁵. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე წყაროს წყლები ძირითადად ამ მთასთანაა დაკავშირებული. შესაძლებელია, ოქროყანის წყაროს წყალი ძველად, გარდა ციხისა ქალაქშიც იყო შემოყვანილი.

ჩვენს მიერ აღმოჩენილი წყალსადენიც ერთი ამგვარი არქეოლოგიური ძეგლია და მისი შემდგომი მეცნიერული შესწავლა, ალბათ, დააზუსტებს მის თარიღს და თბილისის ძველი ციხე-ქალაქის წყლით მომარაგებასთან დაკავშირებულ სხვა საინტერესო საკითხებსაც გააშუქებს.

გადმოცემით ამ ციხე-სიმაგრეში მოთავსებულ წყლის აუზებში თევზები ყოლიათ მოშენებული, ხსენებული წყალსადენი შენობულად ძველის-ძველი ციხიდან ქალაქში ჩამოდიოდა, მის წყალს იყენებდნენ ლამაზად გაფორმებული შადრევნებისათვის. შადრევნიდან ამონახეთქი წყალი აუზებში გროვდებოდა და ბაღების მოსარწყავად იხმარებოდა. ხსენებული წყალსადენი ატარებდა მიახლოებით 10 ლიტრს წამში, დღე-ღამეში კი 864000 ლიტრს, რაც 864 კუბურ მეტრ წყალს უდრის. ამ წყალს თავისუფლად შეეძლო 15 ჰექტარი ბაღის დაქმნაყოფილება.

ცხადია, ამ მილებით მონადენ წყალს ძირითადად იყენებდნენ სასმელად, აუზებში თევზების მეურნეობისა და საუკეთესოდ გაფორმებული შადრევნების



მოსაწყობად, ხოლო შადრევნის აუზში დაგროვილი წყალი საბაზისობადაა აღებულია ნარგავების მოარწყვას.

